# საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

პარასკევი, 14 ნოემბერი, 2008 წელი.

№ 214 (6071)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@ayety.ge ვებ გვერდი: www.open.ge/sakartvelos-respublika ფასი 50 თეთრი.



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

## გავარდისფერებული „შავი პარასკევი“ და ოპოზიციური ტელეარხების „ცვენა“ საქართველოში, 3



ანუ რატომ ატყუებენ „ვარდოსნები“ ხალხს ჩვენთან, სააკაშვილი კი – საზღვარგარეთ?

## კორუფციის ტყვეობაში

## ტენდერი იაფად მგალობელ ბულბულზე 6 7

- ტენდერი პირველი, ტენდერი უკანასკნელი
- არქიტექტორი ხელისუფლების „ხელის ბიჭი“ არ არის!



## ევროპელი ბავშვები თავისი შეგირდით აღფრთოვანებულია 4



## 9 ლარი „კრილით“ მიცურავს, ხელისუფლება – „მხარულით“

## დღეიდან გარქმევთ „ბნელასსო“!..

ამ ბოლო დროს თბილისში ხშირ-ხშირად ირთვება დენი, რამაც სინათლემოკლებულთ ეს მწარე სიმართლე გვათქმევინა

მოიპარება ზამთარი
და თავს გვახსენებს „თელასი“ –
ეს ჩვენი „ძველი ნაცნობი“
და დამთრგუნველი ყველასი.
ნუთუ წარსულში ვბრუნდებით,
რა ხდება ხალხო, რა ხდება?!
გვაჩვევენ, დენი ზამთარში
რომ სანატრელი გახდება.
აბა, სიმართლეს ვინ გეტყვის?
„თელასს“ აქვს თავის ტაქტიკა:
„გვაცალეთ, მიმდინარეობს
ხაზების პროფილაქტიკა“!
სულ მუდამ პროფილაქტიკა?
რატომ გვატყუებ, „თელასო“?!
ემაგ ტყუილისთვის, იცოდე,
დღეიდან გარქმევთ, „ბნელასსო“!

ანანო მარდალეიშვილი



## ლევან ალექსიძე:

დასავლეთი ვერ აცნობიერებს, რომ რაც მეტად წაუწევება რუსეთს, მოსკოვი მისგან სულ უფრო მეტს მოითხოვს




## რატომ უგულებელყოფს დასავლეთი სიმართლეს საქართველოში ომის შესახებ? 8

THE INDEPENDENT



## საერთაშორისო ორგანიზაციების დასკვნებს ხელისუფლება ან ყალბებს, ან მალავს 11

გვიხაროდეს!

## ურთულესი ოპერაციის შემდეგ პატრიარქი თბილისში დაბრუნდა

**სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია მეორე თანმხლებ პირებთან ერთად გერმანიიდან ჩარტერული რეისით ჩამოფრინდა.**



პატრიარქს თბილისის აეროპორტში პრემიერ-მინისტრი გრიგოლ მგალობლიშვილი, თბილისის ვიცე-მერი მამუკა ახვლედიანი, პარლამენტარები გიგი წერეთელი, ლაშა ჟვანია, ასევე შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი სანდრო კვიტაშვილი და სხვა ოფიციალური პირები, ასევე, „დემოკრატიული განვითარების ფონდის“ პრეზიდენტი ნინო ბურჯანაძე დახვდნენ.

უწმინდესს ტრაპზე ჩამოსვლისას შეეგება მეუფე კალისტრატე. მან მადლობა გადაუხადა უფალს პატრიარქის საქართველოში მშვიდობით დაბრუნებისთვის. თავად პატრიარქმა ჯვარი გადასახა აეროპორტში მყოფ პირებს. მას რაიმე განცხადება არ გაუკეთებია. აეროპორტის ტერიტორიიდან გამოსვლისას პატრიარქს სანთლებითა და ლოცვით მრევლი დახვდა. უწმინდესის ესკორტი ყოვლადწმინდა სამების საკათედრო ტაძრისკენ გაემართა, სადაც ილია II სამადლობელი პარაკლისი აღავლინა.

სულიერება

## უწმინდესმა და უნეტარესმა პარაკლისი გადაიხადა

**მეტეხის ხიდზე წმინდა 100 ათასი ქართველი მოწამის დღესთან დაკავშირებით, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ პარაკლისი გადაიხადა.**

მეტეხის ხიდზე უამრავი ადამიანი მივიდა. მათ ყვავილები და ყვავილებით შემკული ჯვრები სიმბოლურად მტკვარში ჩაუშვეს, წამებულთა სულის მოსახსენიებლად. მე-13 საუკუნეში მათი მოკვეთილი თავები მტკვარში სწორედ ამ ხიდიდან გადაყარეს.

პარაკლისის დასრულების შემდეგ უწმინდესმა ბრძანა, რომ საქართველო აუცილებლად გადარჩება, ვინაიდან ჰყავს უპრეცედენტო ოდენობის ძალიან ძლიერი წმინდანები.

— ასი ათასი ქართველი მოწამე მსოფლიოს ისტორიაში არის უპრეცედენტო შემთხვევა, რადგან ქრისტესთვის ერთ დღეს ამდენი ადამიანი ეწამა. მათი ძალა და მადლი შეეწევა საქართველოს, მათი ლოცვით საქართველო აუცილებლად გადარჩება და გამთლიანდება, — ბრძანა ლია მეორემ.

100 ათასი ქართველი მე-13 საუკუნეში ჯალალ-ედინის ბრძანებით აწამეს. ჯალალ-ედინმა გასცა ბრძანება, თავი მოეკვეთათ ყველასთვის, ვინც ღვთისმშობლის ხატსა და უფალს არ შეურაცხყოფზდა. სწორედ ამ დღეს ხვარაზმელებმა 100 ათასი ქართველი მოკლეს.

ინფორმაცია

## ჩვენი კრიზისი სამომავლოდ რუსეთზეც აისახება

**ნიცას სამიტამდე ერთი დღით ადრე რუსეთ-ევროპის ურთიერთობებზე პროგნოზებს აკეთებს ევროკავშირის საგარეო პოლიტიკის კოორდინატორი ხავიერ სოლანა.**

მისი აზრით, ჯერ ნაადრევია რაიმე დასკვნების გამოტანა, თუმცა საქართველოს კრიზისი რუსეთთან სამომავლო ურთიერთობაზე აუცილებლად აისახება.

დიპლომატი იმედს გამოთქვამს, რომ შემდგომში მოსკოვი შეთანხმების პირობებს უკეთესად შეასრულებს.

რაც შეეხება კონფლიქტის შეფასებას, ხავიერ სოლანამ აღნიშნა, რომ უნდა ჩატარდეს დეტალური საერთაშორისო გამოძიება და განცხადებები მხოლოდ ამის შემდეგ გაკეთდეს. თუმცა, მისივე თქმით, რუსეთთან ძველი ურთიერთობები არ იქნება.

## რუსეთის გადაწყვეტილება საბოლოოა და შეუქცევადი

**რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის დიმიტრი მედვედევის განცხადებით, აფხაზეთისა და ე.წ სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის აღიარება საბოლოო გადაწყვეტილებაა.**

— ჩვენი გადაწყვეტილება საბოლოო და შეუქცევადია. ასეთ საკითხზე არ ხუმრობენ. ჩვენ ვაღიარეთ საერთაშორისო სამართლის ორი ახალი სუბიექტი, — განუცხადა მედვედევმა გაზეთ „ფიგაროს“.

## მოსკოვმა ძალის პოლიტიკა არ უნდა გამოიყენოს

**საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ბერნარდ კუშნერი მოსკოვს ვაშინგტონიდან მოუწოდებს, არ გამოიყენოს ძალის პოლიტიკა.**

ფრანგმა მინისტრმა აღნიშნა, რომ საქართველოსა და უკრაინას აქვთ სრული უფლება, იყვნენ ნატოს წევრი სახელმწიფოები.

— როდესაც ვსაუბრობთ საქართველოს კრიზისზე, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ევროპამ საკუთარ ხელში აიღო კრიზისის მოგვარების ინიციატივა მაშინ, როდესაც აშშ-ს რეაქცია უკვე დაგვიანებული იყო, — აღნიშნა კუშნერმა აშშ-ში ვიზიტისას.

## მედვედევი პოსტის დატოვებას არ აპირებს



**რუსეთის პრეზიდენტი დიმიტრი მედვედევი ვადამდე ადრე თანამდებობიდან წასვლის გადაწყვეტილებას გამორიცხავს.**

— მე ხომ ვმუშაობ, რატომ მიბიძგებთ რაღაც სხვა გადაწყვეტილებისკენ, — განუცხადა მედვედევმა გაზეთ „ფიგაროს“.

ამასთან, სახელმწიფო დუმა 14 ნოემბერს პირველი მოსმენით საკონსტიტუციო ცვლილებებს განიხილავს. ცვლილებები პრეზიდენტის უფლებამოსილების 4-დან 6 წლამდე, ხოლო სახელმწიფო სათათბიროსთვის 4-დან 5 წლამდე გაზრდას ითვალისწინებს.

## პერევში საავტომობილო მიმოსვლა აღდგა



**სოფლის ავტობუსი პერევიდან რაიონის ცენტრამდე რეგულარულად ახორციელებს მგზავრთა გადაყვანას.**

საჩხერის გამგებლის ზურაბ ცერცვაძის განცხადებით, ოკუპანტები სოფლის მცხოვრებლებს გადაადგილებაში ხელს არ უშლიან. შესაბამისად, სოფლის მოსახლეობა პურის ფქვილითა და სხვა პირველადი მოხმარების საშუალებებით მარაგდება.

სოფლის ავტობუსი იგივე რეჟიმში ასრულებს რეისებს, როგორც ეს მანამდე, უკანონო ბლოკპოსტის არსებობამდე ხდებოდა.

ცერცვაძის ინფორმაციით, რუსები სოფელში მხოლოდ საერთაშორისო დამკვირვებლებსა და ჟურნალისტებს არ უშვებენ. სხვა შემთხვევაში ისინი რიგითი მოქალაქეების მიმართ აგრესიული არ არიან.

## იუშჩენკომ ფილმი „დააპატიმრა“

**უკრაინის პრეზიდენტის სამდივნო ცდილობს აგვისტოს მოვლენებში უკრაინის მონაწილეობის დამადასტურებელი ფაქტები დაფაროს. ეს განცხადება უკრაინის პარლამენტის წევრმა ვალერი კონოვალიუკმა გააკეთა. მანვე უკრაინის პრეზიდენტი ვიქტორ იუშჩენკო კიევში ე.წ. სამხრეთ ოსეთზე გადაღებული ფილმის ჩვენების აკრძალვაში დაადანაშაულა.**

— როგორც კი უკრაინის პრეზიდენტის გარემოცვაში ცნობილი გახდა, რომ სამხრეთ ოსეთის მოვლენების ამსახველი ფილმის ჩვენება უნდა გამართულიყო, პრეზიდენტმა გასცა განკარგულება ჩვენებისათვის ხელი შეეშალათ და ეს ასეც მოხდა, — განაცხადა კონოვალიუკი.

მისივე თქმით, ფილმის პრეზენტაციაზე მოწვეულნი იყვნენ უკრაინის პარლამენტის დეპუტატები, კიევში რუსეთის ფედერაციის ელჩი და რუსეთის დუმის დეპუტატები. ასევე საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები.

ალიანსი

## რობერტ გეითსი მიიჩნევს...

**ამერიკის შეერთებული შტატების თავდაცვის მდივანი რობერტ გეითსი მიიჩნევს, რომ საქართველოს ნატოში ინტეგრირება რუსეთის ფედერაციის უსაფრთხოებისთვის საფრთხეს არ წარმოადგენს.**

— რუსეთს არა აქვს უფლება სუვერენული სახელმწიფოს, რომელისაც დასავლურ სტრუქტურებში ინტეგრირება სურს, საკუთარი ნების აღსრულებაში ხელი შეუშალოს, — განაცხადა აშშ-ს თავდაცვის მდივანმა ესტონეთის პრემიერ-მინისტრთან, ანდრუს ანსიპთან გამართული შეხვედრის შემდეგ გამართულ პრესკონფერენციაზე.

## „ბილეთები“ ავტომატურად არ გაიცემა

**ნატოს გენერალური მდივანი იაპ დე ჰოოპ სხეფერი აცხადებს, რომ ალიანსი ყველა ღონეს იხმარს, რომ „ისკანდერის“ ტიპის რაკეტები კალინინგრადის ოლქში არ განლაგდნენ და აღნიშნავს, რომ „ჩვენ აღარ ვცხოვრობთ, იმ დროში როდესაც რაკეტებს განათავსებდნენ ხოლმე“.**

მისივე თქმით, რუსეთის განზრახვაზე კალინინგრადის ოლქში სარაკეტო სისტემები განათავსოს ნატო საპასუხო ზომების მიღებას არ გეგმავს.

— რუსეთის პრეზიდენტის მიერ გაკეთებული განცხადებები პრობლემას ვერ გადაჭრის. ჩვენ არ ვცხოვრობთ დროში, როდესაც სადმე რაკეტების განთავსება სიტუაციიდან გამოსავალი იქნებოდა. იმედს ვიტოვებ, რომ საქმე აქამდე არც მივა.

ამაზე ნატოს კონკრეტული რეაქციის ლოდინს აზრი აქვს. ის არ იქნება, — განაცხადა სხეფერმა და დასძინა, რომ ეს რაკეტები ამჟერად კალინინგრადში არ არის.

საქართველოსა და უკრაინის ნატოში გაწევრებაზე საუბრისას, ნატოს გენერალურმა მდივანმა განაცხადა, რომ „უკრაინა ნატოს ძველი და საიმედო პარტნიორია, იგივე ეხება საქართველოსაც“.

— მათთვის ნატოს კარი ღიაა და ღია დარჩება, მაგრამ მათ შედეგები უნდა გვაჩვენონ. აქ არავითარი, ესე ვთქვათ, ბილეთების ავტომატური გაცემის პრინციპი არ მოქმედებს. ნაკისრი ვალდებულებები ყველამ უნდა შეასრულოს, — განაცხადა სხეფერმა

იაპ დე ჰოოპ სხეფერმა ასევე აღნიშნა, რომ ჩრდილოატლანტიკური ალიანსის მთავარი პრინციპი იყო არის და იქნება სოლიდარობა, ამიტომაც მისი წევრი ნებისმიერი სახელმწიფო, დიდი იქნება ის, თუ პატარა, თავს უსაფრთხოდ უნდა გრძნობდეს.



## სომხეთი გაწევრებას არ აპირებს

**სომხეთის პრეზიდენტი სერჟ სარქისიანი აცხადებს, რომ სომხეთის ნატოში გაწევრების საკითხი ამჟამად დღის წესრიგში არ დგას.**

— ბევრი ქვეყანა, მათ შორისო ევროკავშირის წარმომადგენლებიც ამ ბლოკის წევრები არ არიან, — განაცხადა სომხეთის პრეზიდენტმა და აღნიშნა, რომ ალიანსმა კავკასიის რეგიონში აქტიური როლი უნდა შეასრულოს.

— სწორედ ამიტომაც, სომხეთი ნატოსთან ინდივიდუალური პარტნიორობის გეგმის ფარგლებში ნატოსთან ურთიერთობების გაღრმავების მომხრეა. მიგვაჩნია, რომ ალიანსთან თანამშრომლობა ჩვენი უსაფრთხოების დაცვის განუყოფელი ნაწილია, — განაცხადა სარქისიანმა.

შეეხო რა სომხეთისა და ევროკავშირის მომავალ ურთიერთობებს, სომხეთის პრეზიდენტმა აღნიშნა, რომ მისი ქვეყანა აქტიურად მონაწილეობს ევროკავშირის მიერ წარმოებულ ევროპულ სამეზობლო პოლიტიკაში და ასევე ვიზების გაცემის პირობების გამარტივებაზე მუშაობს.

— თბილისსა და მოსკოვს შორის აგვისტოში შექმნილი კრიზისის გამო სომხეთის ეკონომიკამ დიდი ზარალი ნახა, რადგან ჩვენი ქვეყნის საქონელბრუნვის 70 % საქართველოს ტერიტორიის გავლით გადის, — განაცხადა სარქისიანმა და დასძინა, რომ სომხეთისა და საქართველოს კეთილმეზობლური ურთიერთობები უკვე საუკუნეებს ითვლის და სწორედ აქედან იღებს სათავეს ურთიერთპასუხისმგებლობაც.

ინტერპრესნიუსისა და ჯი-ეიჩ-ენი-ს მიხედვით

**სანამდე?!**

***ამ მასალის დაწერა ჩვენი გაზეთის გუშინწინდელი ნომრის ერთმა პუბლიკაციამ გადამაწყვეტინა. ნინო ბურჯანაძესთან „შპიგელის“ კორესპონდენტის ინტერვიუზე მოგახსენებთ, რომელიც გადმოვბეჭდეთ. შემრცხვა, როდესაც მისი მეშვეობითაც გავიგე, რომ ჩვენი პრეზიდენტი ევროპელებს კიდევ ერთხელ გამოუჭერიათ ტყუილში, ან, რბილად თუ ვიტყვით, მისი ნათქვამის სისწორე-სინამდვილეში დაეჭვებულან.***

***თუმცა, ამით თავს ვიმშვიდებ, თორემ ორივე ერთი და იგივე არის? ოსმანა და ალია ხომ, მართლაც, ორივე თათარია?***

***თანაც, განა მხოლოდ კეისრის ცოლი უნდა იდგეს ეჭვზე მაღლა!***

***თუმცა ამაზე ოდნავ მოგვიანებით. ჯერ კი გავარდისფერებულ „შავ პარასკევზე“ მინდა ვთქვა ორიოდ სიტყვა.***

# გავარდისფერებული „შავი პარასკევი“ და ოპოზიციური ტელეარხების „ცვენა“ საქართველოში,

## ანუ რატომ ატყუებენ „ვარდოსნები“ ხალხს ჩვენთან, სააკაშვილი კი – საზღვარგარეთ?

ამ ათიოდე წლის წინათ მხოლოდ ერთი „ფერადი“ პარასკევი ვიცოდი – წითელი: „მე დღეს ღვინოს როგორ დავლევ, წითელი პარასკევია!“

ზუსტად ათი წლის წინათ კი, სწორედ შემოდგომაზე, როდესაც მსოფლიოს ცალკეულ რეგიონებში, ამჟამინდელივით, ფინანსური კრიზისი მძვინვარებდა, ქართული ლარი დოლართან მიმართებაში ერთბაშად და კატასტროფულად გაუფასურდა.

მაშინაც პარასკევს მოხდა ეს, რამაც უამრავი გაჭირვებული ადამიანი, ნაწვალევ-ნაჯახირევი მცირე დანაზოგის იმედითლა რომ სულდგმულობდა, საერთოდ უიმედოდ დატოვა და ქვეყნის ეკონომიკაც საგრძნობლად დააზარალა.

მაშინ ის დღე „შავ პარასკევად“ მონათლეს.

წლევანდელი 7 ნოემბერიც, როდესაც ლარი კვლავ საოცრად და ნახტომისებურად გაუფასურდა, პარასკევი გახლდათ.

წინ კვლავაც ორი უქმე დღე იყო – შაბათ-კვირა, როდესაც საბანკო ვაჭრობა არ იმართებოდა და ქვეყნის მთავარი – ეროვნული ბანკი „თამაშგარე მდგომარეობაში“ იყო, საქმეში ვერ ჩაერეოდა.

იმ ათი წლის წინანდელივით ახლაც დაიწყეს „ავმა ენებმა“, – ეს ადამიანთა ერთი ჯგუფის გაკეთებულია, ვინც ამ ოპერაციით ერთბაშად მილიონები იშოვაო.

ისევ „შავი პარასკევი“ გაგვითენდაო?! – დაიბნენ ადამიანები.

თურმე სადა ხარ!

ჯერ ერთი, ამჟამინდელ საქართველოში „ვარდოსანთა“ დაუკითხავად არაფერი თენდება თუ ღამდება.

და მეორეც, როგორ შეიძლება, ამჟამინდელ, ვარდისფერ საქართველოში რომელიმე ფერი, გარდა ვარდისფერისა, იყოს?

თურმე ყველაფერი სწორედ „ვარდოსანთა“ ხელდასხმით მომხდარა.

– ჩვენ მოვილაპარაკეთო, – განაცხადა ორშაბათს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელმა დავით ამაღლობელმა, – რომ ეს სწორედ ნახტომისებურად და უთუოდ პარასკევს გაგვეკეთებინაო!

„ვარდოსნებმა“ – ამით ხალხს და ქვეყანას არაფერი დაშავებიათ და არც რა დაუშავდებათო!

არაფერი გაძვირებულა და არც გაძვირდებაო!

შედარებით კულტურულად თუ ვიტყვით, ისემც დაგიმშვენდათ ეს ცხვირი, ხოლო ქიზიყურად თუ „გადმოვთარგმნით“ – მაშ, მტყუანის?..

რას ვიზამთ, ასე იცის ვარდისფერი სათვალეების ტარებამ, ყველაფერს, შავსაც კი, ვარდისფრად მოგაჩვენებს.

მით უფრო, თუ თავადაც ასე გსურს.

ერთი რამ მაინტერესებს ძალიან: მართლა სჯერათ „ვარდოსნებს“, რასაც თავადვე ამბობენ?

აი, თუნდაც ის თუ სჯეროდათ, რომ ამტკიცებდნენ, 25-პროცენტიანი საშემოსავლო გადასახადის განაკვეთის დაწესება ხალხზე უარყოფითად არ იმოქმედებსო?

როგორ, კაცო, ადამიანებს ასლარიანი ხელფასიდან ადრინდელი 12-ის ნაცვლად 25 ლარი რომ დაექვითებოდათ, ეს მის ბიუჯეტზე უარყოფითად არ იმოქმედებდა?

ახლა კი თურმე იმ გაორმაგებული საშემოსავლო გადასახადის 5 პროცენტით შემცირება განუზრახავთ და უნდათ, ათასი მადლობა გვათქმევინონ!

ბნელა?

ეჰ, რამდენი ასეთი ტყუილის გახსენება შეიძლება, მაგრამ არ ღირს!

ამიტომ ერთსღა ვიტყვი: ჩვენს „ვარდოსნებს“ მართლაც საოცრად მიესადაგება პუშკინის ფრთიანი ფრაზა, იმ პუშკინისა, რომელიც „ვარდოსანთა“ ერთ-ერთ ბოლოდროინდელ შესაშურ-შესანატრ „შენაძენს“ ნუგზარ წიკლაურს თურმე ისე ძალიან არ უყვარს, რომ მისი ძეგლის ჩამოგდებითაც იმუქრება (კიდევ კარგი, ჩვენს ქვეყანაში მხოლოდ ამებები არ არიანძ:

– მთის მწვერვალზე მჯდომ დიდი თანამდებობის ბრიყვს, – ჩაუწერია პუშკინს თავის დღიურში, – ქვევით ყველა და ყველაფერი პატარა ეჩვენება, იმას კი ვერ ხვდება, რომ ქვემოთ მყოფნი მას ზუსტად ისეთ პატარას ხედავენ, როგორიც ის სინამდვილეშია...

ხალხს ბრიყვებად ნუ თვლით და ნუ „აბოლებთ“, უფალო „ვარდოსნებო“!

მერწმუნეთ, ყველანი ყველგან – ზევითაც და ქვევითაც – ნატურალური ზომით და ჭკუით ჩანხართ!

თუმცა, როგორც ჩანს, მთლად მათი ბრალიც არ არის ეს.

რატომ?

ერთი მაგალითი: შემჩნეული გექნებათ, როგორ ბაძავს მედვედევი პუტინს თვით ლაპარაკის და სიარულის მანერითაც კი.




ჰოდა, ჩვენი „ვარდოსნებიც“ თავიანთ „პატრონს“ – მიხეილ სააკაშვილს ბაძავენ ხალხის „დაბოლებაში“.

თავადაც გეხსომებათ და ამიტომ არ შეგახსენებთ, ძვირფასო მკითხველო, ჩვენი პრეზიდენტის ლამის მიუნჰაუზენისნაირ შედარებებსა თუ ტყუილებს (ვთქვათ, თუნდაც ისეთს, რომ სულ რაღაც ორიოდ თვეში აშენებული განმუხურის პატრიოტთა ბანაკი თურმე ყოფილ არტეკის პიონერთა ბანაკს სჯობს, თბილისის აეროპორტი კი – მიუნჰენისას, რომ ჩოლოქთან გაკეთებული პარკისნაირი რუსებს არაფერი აქვთ და ა. შ.ძ.

მიუნჰაუზენისნაირი ტყუილები მეთქი, ვთქვი, მაგრამ ისიც უნდა დავსძინო, რომ ბარონი მიუნჰაუზენი, ჩვენი პრეზიდენტისგან განსხვავებით, მხოლოდ კეთილ ტყუილებს ამბობდა...

ხასიათი, მოგეხსენებათ, ტანსაცმელი არ არის, საშინაო და საგარეო რომ გქონდეს. ამიტომ, თუ შინაგანად მატყუარა ან გადაჭარბების მოყვარული ხარ, ეს თვისება შინაც იჩენს თავს და გარეთაც. მეტ-ნაკლები პროპორციით, ცხადია, მაგრამ უთუოდ იჩენს.

ჰოდა, ევროპაშიც კიდევ ერთხელ უჩენია თავი მიხეილ სააკაშვილის ამ ჩვევას, რაც გაზეთ „შპიგელის“ კორესპონდენტსაც შეუმჩნევია.

აი, რას ეკითხება იგი ნინო ბურჯანაძეს, რომელთან ინტერვიუც, როგორ მოგეხსენებათ, ჩვენი გაზეთის გუშინწინდელ ნომერში გადმოვბეჭდეთ:

**„ერთი წლის წინათ პრეზიდენტმა სააკაშვილმა ძალით დაშალა ოპოზიციის დემონსტრაცია და დახურა ტელეარხი, რომელიც მთავრობას აკრიტიკებდა. სხვათა შორის, დასავლელი მასობორივი ინფორმაციის საშულებებისთვის მიცემულ ინტერვიუში ის ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ მასობრივი ინფორმაციის საშუალებების თავისუფლებასთან საქმე ცუდად როდი გაქვთ ქვეყანაში და რომ თქვენთან სამი ოპოზიციური ტელეარხია. ეს შეეფერება სინამდვილეს?“**

როგორ მოგწონთ, მკითხველო?

– მარცხვენ ხომ რაიონის მასშტაბით!.. – გეხსომებათ გაცოფებული ხუტა უფროსის სიტყვები კინოფილმ „რეკორდიდან“.

მისი რაიონული მასშტაბი რა მოსატანია ევროპასთან შედარებით!

თუმცა ევროპაც რა მოსატანია მსოფლიოსთან შედარებით, რომლის პრეზიდენტობაც მხოლოდ მიხეილ სააკაშვილისთვის ემეტებოდა ყოფილ „ვარდოსანსა“ და თელაველ მაჟორიტარ დეპუტატს ხიდეშელს!..

სწორედ იმ ხიდეშელისნაირები იყვნენ და არიან ძირითადად მაშინდელ და ამჟამინდელ პარლამენტსა თუ მთავრობაში.

სწორედ ასეთია თუნდაც ეკა ხერხეულიძე, წარბშეუხრელად რომ განაცხადა, – ჩვენს გმირ პრეზიდენტს მტრისთვის ზურგი არ უჩვენებია და ერთი გოჯი ქართული მიწაც არ დაუთმიაო აგვისტოში!

ამაზე დაწერა ჩემმა ერთმა კოლეგამ, როგორც ჩანს, ჩვენები ცხინვალიდან „ზადნი ხოდით“ გამოსულანო!..

ეჰ, რას არ ათქმევინ-გააკეთებინებს ზოგიერთს მაამებლობა თუ ლაქუცის სურვილი.

ჰოდა, „გვაბოლებენ“ კიდეც.

„გვაბოლებენ“ კი იმიტომ, რომ „პატრონს“ ბაძავენ.

ვაი, ჩვენს პატრონს, ამას რომ ვითმენთ.

ვითმენთ თუნდაც, რომ იტყვიან, „დო პორი, დო ვრემენი“, ანუ, ისე, როგორც ამას ქალბატონი ნინო ბურჯანაძე აკეთებდა თანამდებობიდან გადადგომამდე, და რომელმაც „შპიგელის“ კორესპონდენტის ამ კითხვას ასე უპასუხა:

**„ნებისმიერმა, ვინც ერკვევა საქართველოს სიტუაციაში, იცის, რომ ეს ასე არაა. მე არ ვაპირებ, რომ ნება მივცე საკუთარ მთავრობას, კვლავაც ატყუებდეს მსოფლიოს“.**

**რატომ დროულად არ მოიქეცით ასე, ქალბატონო ნინო?**

დროულად, ანუ მანამ, სანამ „რაიონის მასშტაბით“ არ შეგვარცხვენდა და არ მოგვჭრიდა თავს ჩვენი მატყუარა ხელისუფლება და მისი თავკაცი?

კი ამბობენ, სჯობს გვიან, ვიდრე არასდროსო, მაგრამ...

**რუსლან რუსია**

*P. S. ამ ათიოდე წლის წინათ მარტო ერთი „ფერადი“ პარასკევი ვიცოდი – წითელი, მერე კი „შავი პარასკევიც“ გაჩნდა-მეთქი ვთქვი, ბოლოდროინდელი კი „ვარდისფრად“ მოვნათლე, რადგან დოლართან მიმართებაში ლარის ესოდენ უეცარი გაუფასურება, ობიექტურ მიზეზებთან ერთად, „ვარდოსანთა“ ხელდასხმითაც მომხდარა. ეს წერილი დასაბეჭდად მზად იყო, როდესაც „ქამელეონმა“ პარასკევმა კიდევ ერთხელ „იცვალა“ ფერი – ბატონმა ლადო პაპავამ იგი „მწვანე პარასკევად“ მოიხსენია.*

*ასე რომ, ფერები კი იცვლება, მაგრამ უცვლელია შედეგი – „ვარდოსანთა“ მტკიცების საწინააღმდეგოდ, ამით ხალხი და ქვეყანა ზარალობს.*

*რ. რ.*

**აქტუალური თემა**

# ლევან ალექსიძე: დასავლეთი ვერ აცნობიერებს, რომ რაც მეტად წაუწევება რუსეთს, მოსკოვი მისგან სულ უფრო მეტს მოითხოვს



***საქართველოში** აგვისტოს მოვლენების შემსწავლელი კომისიის თავმჯდომარედ ევროკავშირმა შვეიცარიელი დიპლომატი, 2002-2006 წლებში საქართველოში გაეროს მისიის ხელმძღვანელი ჰაიდი ტალიავინი დანიშნა. კომისიის თავმჯდომარის ავკარგიანობასა და საერთაშორისო კომისიების მუშაობის პრაქტიკის მნიშვნელობაზე „**ინტერპრესნიუსი**“ საერთაშორისო სამართლის პროფესორს ლევან ალექსიძეს ესაუბრა.*

**– ბატონო ლევან, როგორ შეაფასებდით აგვისტოს მოვლენების შემსწავლელი საერთაშორისო კომისიის თავმჯდომარედ შვეიცარიელი დიპლომატის ჰაიდი ტალიავინის დანიშვნას? გეხსომებათ, ქალბატონი ტალიავინი 2002-2006 წლებში საქართველოში გაეროს მისიას ხელმძღვანელობდა.**

– ქალბატონ ჰაიდი ტალიავინს საკმაოდ კარგად ვიცნობ, ვთანამშრომლობდი მასთან. გაეროს მისიის სხვა ხელმძღვანელებისაგან განსხვავებით, ძალიან ნორმალური დიპლომატი იყო. სამწუხაროდ, გაეროს წარმომადგენლები საქართველოში, ვისაც მე შევხვედრივარ, საქართველოსადმი მაინც და მაინც კეთილგანწყობილი და ობიექტური არ იყვნენ.

ქალბატონი ტალიავინი ძალიან მონდომებული იყო, რომ ქართულ-აფხაზური პრობლემა მოგვარებული იყო, მაგრამ მას მანდატი ჰქონდა ისეთი, რომ რასაც აკეთებდა, იმის მეტი არაფერი შეეძლო. აგვისტოს მოვლენების შემსწავლელი საერთაშორისო კომისიის თავმჯდომარედ ჰაიდი ტალიავინის დანიშვნას მივესალმები. ის, რომ კომისია იქმნება, ამასაც მივესალმები. მისი მორალიდან გამომდინარე კომისიის თავმჯდომარედ ტალიავინის დანიშვნა, სიმართლის დადგენას ხელს შეუწყობს. იგი იმაზე გაცილებით მეტს აკეთებდა, ვიდრე იმ მისიის ფარგლებში იყო შესაძლებელი, რომელსაც ტალიავინი ხელმძღვანელობდა. მიუხედავად ამისა, იგი მასზე დაკისრებულ მოვალეობას თავს ართმევდა და მე მის დანიშვნას კომისიის თავმჯდომარედ მივესალმები.

იხ. 4 გვ.

## აქტუალური თემა

(მესამე გვერდიდან)

# ლევან ალექსიძე: დასავლეთი ვერ აცნობიერებს, რომ რაც მეტად წაუწვება რუსეთს, მოსკოვი მისგან სულ უფრო მეტს მოითხოვს




**— რამდენად ობიექტური შეიძლება აღმოჩნდეს ტალიავინის კომისიის მუშაობის შედეგი? საერთაშორისო პრაქტიკაში თუ არსებობს მაგალითები იმისა, რომ ამგვარ საერთაშორისო კომისიებს გადამწყვეტი როლი შეესრულებინოთ ამა თუ იმ საკითხის სამართლიანად გადაწყვეტაში?**

— საერთაშორისო სამართალში არსებობს ასეთი პრაქტიკა — ფაქტ-ფაინდინგის, ანუ ფაქტების დამდგენი კომისიების მუშაობის პრაქტიკა. ამგვარი კომისია გამოძიების კი არა, ფაქტების დადგენის ფუნქციას ასრულებს. კომისიას ევალება ყველა იმ ფაქტის დადგენა, რომელზეც კონფლიქტის მხარეები საუბრობენ. რასაკვირველია, ეს კომისია შეიძლება იყოს ცალმხრივად დაკომპლექტებული. ახლა ბევრი რამ იმაზე იქნება დამოკიდებული, ამ კომისიაში დაცული იქნება თუ არა წარმომადგენლობის ბალანსი. ამ საკითხზე ძალიან დიდი ყურადღების გამახვილება გვმართებს და ამაზე ძალიან სერიოზულად უნდა ვიმუშაოთ.

ევროპაში ახლა ძალიან მაღალ დონეზე სხვადასხვა ძალები მოქმედებენ. მიმაჩნია, რომ კომისიის მუშაობა ძალიან სერიოზული საქმეა და ჩვენს ხელისუფლებას ძალიან დიდი პასუხისმგებლობა ეკისრება, ვინაიდან ჩვენი ოფიციალური პირების განცხადებათა უმეტესობას ვეთანხმები, მაგრამ არის ბევრი რამ, რომელშიც სოლიდური ბაზა ნაკლებად მოსჩანს. აქ საჭიროა სამართლებრივი, სამხედრო და მორალური ფაქტების სერიოზული კონსოლიდაცია და სასწორზე დადება. რასაკვირველია, ბევრი რამაა დამოკიდებული იმაზე, თუ რა ძირითადი ამოცანა ექნება განსაზღვრული კომისიას. თუ ის ტენდენცია, რომელიც დასავლეთის პრესაში გამოჩნდა და ჩვენ გვამტყუნებენ, კომისიასაც გადაედლო, ეს ძალიან ცუდი იქნება.

რაც შეეხება ამგვარი საერთაშორისო კომისიების მუშაობას. ფაქტ-ფაინდინგის, ფაქტების დამდგენი კომისიების მუშაობის პრაქტიკა, რა თქმა უნდა, არსებობს. ფაქტ-ფაინდინგი იყო, როდესაც სამხრეთ აფრიკაში აპარტეიდის ფაქტებთან დაკავშირებით კომისია შეიქმნა, ანალოგიური კომისია მუშაობდა ახლო აღმოსავლეთში. მაგრამ ვითარება რთულია იმის გათვალისწინებით, რომ, ბოდიშის მოხდით ვიტყვი, ეუთომ და გაეროს უშიშროების საბჭომ, პრაქტიკულად, ჩაისვარეს. თაგვებივით დაწვნენ და თითქოს არც არსებობენ. რატომ? იმიტომ, რომ კონსენსუსის პრინციპი დღეს მავნებელია. კონფლიქტში ჩათრეულ ისეთ სახელმწიფოს, როგორიც რუსეთია, შეუძლია ვეტო დაადოს ყველა გადაწყვეტილებას და პროცესი პარალიზებულია. კონსენსუსის გზით გადაწყვეტილების მიღება თანამედროვე საერთაშორისო სამართლისა და საერთაშორისო წესრიგის უდიდესი ნაკლია.

თუმცა, უშიშროების საბჭოს 27-ე მუხლის მესამე პარაგრაფის მიხედვით, მას უფლება აქვს განიხილოს და გადაწყვიტოს საკითხი. თუ უშიშროების საბჭოს ერთ-ერთი მუდმივი წევრი არის კონფლიქტის მხარე, მან თავი უნდა შეიკავოს ხმის მიცემისგან. უშიშროების საბჭოს უფლება აქვს, განიხილოს და შესაბამისად გადაწყვეტილება მიიღოს აგვისტოს მოვლენებთან დაკავშირებით, მაგრამ ამის მაგვარი არაფერი მომხდარა. დიდი, გიჟი სახელმწიფოს ფაქტორს გარკვეული დაბნეულობა შეაქვს როგორც გაეროს უშიშროების საბჭოს, ისე ეუთოს მუშაობაში და საერთაშორისო უსაფრთხოების სისტემაში.

ფაქტ-ფაინდინგის საფუძველზე გენერალურ ასამბლეას და უშიშროების საბჭოს შეუძლია გადაწყვეტილებისა და რეზოლუციის მიღება, არ მახსენდება, რომ იმ კონფლიქტთან დაკავშირებით, რომელშიც რუსეთი ყოფილიყო ჩართული, გადაწყვეტილება მიღებულიყოს.

**— გასაგებია, რომ რუსეთი არც ენერგიასა და არც ფინანსებს არ ზოგავს საიმისოდ, რომ დასავლეთში ომის ქართულ ვერსიაში სერიოზული ცვლილებები შეიტანოს. რჩება შთაბეჭდილება, რომ დასავლეთში საზოგადოებრივი აზრი საქართველოს საწინააღმდეგოდ იცვლება. რუსეთის აქტიურობის გარდა, კიდევ რით შეიძლება იყოს გამოწვეული საქართველოსადმი დამოკიდებულებაში ცვლილება?**

— ამ საკითხზე მე სერიოზულად ვფიქრობ. აქ შეიძლება ორი მიზეზი იყოს: ერთი, რომ ევროპამ, ბოდიში და, ჩაისვარა. ისევე როგორც 1921 წელს ევროპამ დატოვა საქართველო პირისპირ ბოლშევიკ-ბანდიტებთან, იგივე მეორდება ახლა. ევროპას არ უნდა რუსეთთან დაპირისპირება. სამი სახელმწიფო გამოკვეთილია — საფრანგეთი, გერმანია და იტალია. თუ ვიმსჯელებთ ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მილიბენდის განცხადებით, ბრიტანეთი ძალიან საჩვენოდაა განწყობილი. გარდა მაგისა იქ პოლონეთი, ბალტიისპირეთის ქვეყნებიც ჩვენს სასარგებლოდ მოქმედებენ. ერთიც რომ წინააღმდეგი იყოს, გადაწყვეტილებას ვერ მიიღებენ და ვერ გააგრძელებენ მოლაპარაკებას რუსეთთან.

იმაში, რომ რუსეთს მოიყვანენ და დაელაპარაკებიან, ცუდს ვერაფერს ვხედავ. არ გამოვრიცხავ, რომ დასავლური პრესა, რომელიც ახლა რუსეთის სასარგებლო მასალებს აქვეყნებს, იმ სახელმწიფოების მიერ იყოს მართული, რომლებიც მხარს რუსეთს უჭერენ. დასავლეთი ვერ აცნობიერებს, რომ რაც უფრო მეტს წაუწვება რუსეთს, მოსკოვი მისგან სულ უფრო მეტს მოითხოვს. ამის მაგალითად ჰიტლერის მოქმედებებიც საკმარისია.

**— იმისათვის, რომ კომისიის მუშაობა საქართველოსათვის სასარგებლო აღმოჩნდეს, რა უნდა გააკეთოს საქართველოს ხელისუფლებამ?**

— არავის არ მინდა შეურაცხყოფა მივაყენო, მაგრამ მიმაჩნია, რომ ჯგუფს, რომელიც ჩვენი მხრიდან ამ საკითხზე მუშაობს, კომპეტენტურობა აკლია. დოკუმენტებზე მუშაობისა და დოკუმენტების ცოდნის ნაკლოვანება აქვს. აქ უნდა იცოდე ყოველი მძიმის, წერტილის, ყოველი ფრაზის მნიშვნელობა. როდესაც პირადად მე შემოვიტანე ტერმინი „აფხაზეთი, საქართველო“ და შემდეგ წინადადება გრძელდებოდა, კარგი იყო, მაგრამ როცა სხვა დოკუმენტებში დაიწყეს ასეთი რამის წერა „აფხაზეთი, საქართველო“, და სხვა ტექსტი მიჰყვებოდა, გამოდიოდა, თითქოს საქართველო და აფხაზეთი ერთ დონეზე არიან.

ახლა ტალიავინის კომისიაზე დაიწყება დოკუმენტებით თამაში და ფაქტებით ეკვილიბრისტიკა და ჩვენ უნდა შევაგროვოთ რაც შეიძლება მეტი ფაქტი. ვიცი, რომ იუსტიციის სამინისტროში ძალიან კარგი ფაქტებია შეგროვებული. აქტიურად უნდა იმუშაოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ. ჩვენმა კომისიამ ძალიან ობიექტურად უნდა შეამოწმოს ყველაფერი და არა ტაშფანდურით ჩაატაროს მთელი ეს გამოძიება. რაც უფრო თვითკრიტიკულები ვიქნებით, მით უფრო ნაკლებად კრიტიკული იქნება ჩვენს მიმართ საერთაშორისო კომისია. ჩვენმა საპარლამენტო კომისიამ ტალიავინის კომისიას მასალებიც უნდა მიაწოდოს, მაგრამ ამ მასალაში ყველაფერი ძალიან ობიექტურად უნდა იყოს შესწავლილი და წარმოდგენილი.

ამ საკითხში ხელისუფლებისადმი ოპოზიციის პოლიტიკურმა სიმპათიებმა უკანა პლანზე უნდა დაიწიოს. მე არ ვეთანხმები იმ ოპოზიციურ ძალებს, რომლებიც ხელისუფლებას საომარი მოქმედებების დაწყებას აბრალებს და ხელისუფლების გადადგომის საკითხს აყენებს. ამას ლაპარაკობდა რუსი ჯარისკაცი, რომელიც საქართველოში ჩამოსვლის მიზეზად საქართველოს მოსახლეობის მიერ სააკაშვილის მმართველობიდან გათავისუფლებას ასახელებდა. ყველა პოლიტიკურმა ძალამ უნდა გააცნობიეროს, რომ საგარეო პოლიტიკურ საკითხებში ჭკუა და წინდახედულება გვმართებს და რაც შეეხება საშინაო საქმეებს, აქ აზრთა სხვადასხვაობა აბსოლუტურად გასაგებია.

მაშინ, როცა ჩვენს მიმართ დასავლეთში სიმპათიების ვაკუუმი ჩნდება, ხელისუფლებას სერიოზული საკითხების მოგვარებაში ხელი არ უნდა შეუშალოთ.

**კობა ბენდელიანი**

## უცხოელის აზრით...

# ევროპელი გამზრდელი თავისი შეგირდით აღფრთოვანებულია

**საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდის ოფისში, ორიოდე დღის წინათ საინტერესო პრეს-კონფერენცია შედგა. თავიდან პრეს-ცენტრმა ჟურნალისტებს გვაუწყა, რომ შვედეთის წარმომადგენელი დენიელ ვორნერი საქართველოში განვითარებულ პოლიტიკურ მოვლენებსა და ჟენევაში დაგეგმილ შეხვედრაზე ისაუბრებდა, მაგრამ აღმოჩნდა, რომ საერთაშორისო ურთიერთობების ინსტიტუტის რექტორს დენიელ ვორნერს ჟურნალისტებისთვის საკუთარი საქმიანობის შესახებ სურდა მოეთხრო.**

როგორც გაირკვა, ის კავკასიაში დიპლომატიურ საკითხებზე მუშაობს. უფრო კონკრეტულად, მისი ორგანიზაცია კავკასიელ სახელმწიფო მოხელეებს ზრდის. შვედეთის მთავრობის ხელშეწყობით 1997 წლიდან მოყოლებული მათ უკვე 80-მდე სახელმწიფო მოხელე გაზარდეს, მათ შორის ჩვენი პარლამენტის თავმჯდომარე დავით ბაქრაძეც. როგორც ყველაზე წარჩინებულ მოწაფეს, მას ამ დღეებში სპეციალური პრიზიც გადასცეს, — ის ერთი კვირის განმავლობაში შვეიცარიაში იმოგზაურებს უფასოდ.

დანიელ ვორნერი ძალიან „გახსნილი“ რესპონდენტი აღმოჩნდა, ამიტომ ჟურნალისტებს გვთხოვა შეგიძლიათ პოლიტიკური კითხვებიც დამისვათო. რა თქმა უნდა, უპირველესად, საქართველო-რუსეთის ურთიერთობაზე ვკითხეთ.

— არ არის საჭირო, მუდმივად წარსულზე ვილაპარაკოთ, — გვითხრა მან, — პირიქით, ყოველი ნაბიჯი იქითკენ უნდა გადაიდგას, რომ ძალისხმევა მივმართოთ ჰარმონიული თანაცხოვრებისკენ. ვიმედოვნებ, რომ ჟენევაში 15 ნოემბერს ამაზე ისაუბრებენ. პირველი რაუნდი წარმატებული არ იყო, მაგრამ რადგან სურვილი გამოთქვეს, რომ მოლაპარაკების მაგიდას მიუსხდნენ, ვიმედოვნებ, ყველაფერი მოგვარდება. რთული იქნება ურთიერთობის დამყარება, მაგრამ მაინც...

**— წარმოგიდგენიათ ის, რომ რუსეთი აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთს დათმობს?**

— რთულად! რუსეთი რადიკალურად არ შეიცვლება, მაგრამ რას იტყოდით ქართველების დამოკიდებულების შეცვლაზე რუსეთის მიმართ?

**— ბატონო დენიელ, თუ გაიხსენებთ რომელიმე ქვეყანას, რომელიც აღიარეს და შემდეგ არ აღიარეს?**

— ...არა, არ მახსენდება.

**— რას იტყვით, საქართველოში დემოკრატიის ხარისხზე?**

— არის პროგრესი, მაგრამ არა ისეთი სწრაფი და კარგი, როგორც ადამიანებს უნდოდათ ენახათ. ყოფილმა პარლამენტის თავმჯდომარემ ნინო ბურჯანაძემ ერთხელ მითხრა: არასოდეს დაგავიწყდეთ, რომ შვეიცარია 700 წლისაა, აშშ — 250, ხოლო საქართველო — დემოკრატიის თვალსაზრისით, ჯერ სულ ახალგაზრდააო. დემოკრატია ერთ დღეში ვერ იქნება. გარდამავალი პერიოდი, კომუნიზმიდან დემოკრატიისკენ და თავისუფალი ბაზრისკენ, გაცილებით მეტ დროს წაიღებს, ვიდრე ჩვენ გვინდა.

**— ბატონო დენიელ, თქვენს შეგირდს, დავით ბაქრაძეს, დემოკრატიულობის მხრივ აკრიტიკებენ, მას ბევრი ოპონენტი ჰყავს...**

— რა თქმა უნდა, ეს ნორმალურია. ყველა პოლიტიკოსს ჰყავს ოპონენტი. ასეთი ადამიანები უფრო წახალისებულები უნდა იყვნენ მთავრობაში, დააწინაურონ. მე ვერ შევცვლი ხელისუფლებას, მე ახალი თაობის აღზრდა შემიძლია.

თუ დავით ბაქრაძეს წახალისება, დაწინაურება და დაჯილდოება აკლია, მაშინ გასაცოდავებულმა მისმა ხელქვეითებმა რაღა უნდა ვთქვათ?! არადემოკრატიულობაც თურმე იმიტომ ეპატიებათ, რომ ჯერ სულ ნორჩები ვყოფილვართ. სულსწრაფ ქართველ ხალხს კი უცხოელები



ახალ-ახალ სახელმწიფო მოხელეებს გამოუზრდიან და დემოკრატიაც თანდათან მოვა. ასე ფიქრობენ ევროპელები, ვერაფერს იტყვი...

**ნია ფიფია.**

ეს ყველამ უნდა წაიკითხოს!

ზურაბ ავალიშვილი

# საქართველოს შეერთება რუსეთთან

II.

როდესაც საექსპედიციო კორპუსს გზავნიდნენ, მას დავალებული ჰქონდა არა იმდენად პირდაპირი მოქმედება, რამდენადაც ქართველთა შეშველება: სწორედ ამ უკანასკნელთ უნდა „მოეწყოთ ფრიად მნიშვნელოვანი დივერსია“.

მაგრამ, როგორც გრაფი პანინი უხსნიდა ტოტლებენს, ისე უნდა იმოქმედონ, ქართველებისა და მათი მმართველების შეუმჩნევლად, რომ ისინი ომობდნენ თითქოს საკუთარი სურვილით, სინამდვილეში კი ყველაფერი უნდა ხდებოდეს „აქაური ხელმძღვანელობით და განსწავლით“, ე.ი. ქართველები უნდა ასრულებდნენ ტოტლებენის ხელში ჩადებული იარაღის როლს: პანინის გამოთქმით: „სული იყოს აქაური, ხორცი კი ქართულიო“.

აქ არ მოვყვებით იმ მიზეზების გარჩევას, რომლებმაც პანინის ამ ზრახვების მარცხი გამოიწვიეს. ამისათვის საჭირო გახდებოდა გაგვეშუქებინა, როგორ მიმდინარეობდა კამპანია, როგორ გროვდებოდა თანდათან უთანხმოებანი ტოტლებენსა და გამგებლებს შორის, რაც საბოლოოდ განხეთქილებამდე და უსიამოვნებამდე მივიდა, უნდა შეგვეფასებინა ცალკეულ პირთა საქციელი და მოქმედება; ჩვენ ეს არ გვეხება, ვიტყვით მხოლოდ ერთს: არც სოლომონი, არც ერეკლე არ აპირებდნენ, ეთამაშათ ის როლი, რომელიც მათ, როგორც ეტყობა, ტოტლებენმა განუმზადა: ე.ი. როლი მის კორპუსთან არსებულ ირეგულარულ ლაშქართა სპასპეტებისა. ამას არც ერთი დათანხმდებოდა, და არც მეორე: სოლომონი დიდი ხნის ჩვეული იყო, დამოუკიდებლად ეომა ოსმალებთან, რომ არაფერი ვთქვათ ერეკლეზე, რომლის საბრძოლო დიდება და გამოცდილება სულ სხვა ზომისა და სულ სხვა ყაიდისა იყო, ვინემ ტოტლებენისა.

მაგრამ პანინის ჩანაფიქრი არსებითად უაზრობა იყო: რეგულარული ჯარებისა და ქართველ მოლაშქრეთა რაზმების ჰარმონიული ერთობლივი მოქმედება ვერასგზით ვერ მოხერხდებოდა. ეს იყო ორი, სრულიად სხვადასხვა ეპოქის ჯარი. ერთის მხრივ, დისციპლინა, გეგმაზომიერება, ტექნიკა, ძლიერი არტილერია, საპროვიანტო სამსახური და სხვ. მეორეს მხრივ — ერთობ მარტივი ორგანიზაციის, მტკიცე დისციპლინაზე გამწყრალი მხედრებისა და ქვეითების კონტინგენტი; ყოველი კაცი თვითონ ზრუნავს თავის ჭამა-სმაზედ, და მთელი ეს მასა ემორჩილება მხოლოდ მეფისა და უმაღლესი სარდლების ავტორიტეტსა და პოპულარობას.

ერთის მხრივ, ადამიანები, რომლებსაც გავლილი აქვთ მკაცრი ყაზარმული სკოლა, და მეორეს მხრივ — ფეოდალი ბარონები და მეომარი გლეხები.

აი, ერთი და ფრიად მნიშვნელოვანი წყარო ორმხრივული უთანხმოებისა. მაგრამ იყო კიდევ გართულებები, რომლებიც ვერ განჭვრიტეს პეტერბურგში და რომლებსაც ვერ გაართვა თავი ვერც ყბადაღებულმა ტოტლებენმა და, მოგვიანებით, ვერც გენერალმა სუხოტინმა.

გურიისა და სამეგრელოს მთავარნი, თეორიულად იმერეთის მეფის ვასალები, პრაქტიკულად კი ყოველთვის მისი არმცნობნი, თავიანთ დამოუკიდებელ პოლიტიკას ახორციელებდნენ. დაემორჩილებინათ ეს ვასალები, გაეერთიანებინათ დასავლეთი საქართველო, იმერეთის მეფეთა ოცნება იყო — და სოლომონი იმედოვნებდა, რომ რუსეთის შემწეობით მიაღწევდა ამას.

რუსი გენერლები იძულებული შეიქნენ, არა იმდენად ეხელმძღვანელათ ქართველ მთავართა შეთანხმებული მოძრაობისათვის, რამდენადაც ერკვიათ მათი ორმხრივული ურთიერთდამოკიდებულება, ცდილიყვნენ, მიეღწიათ მათი ერთსულოვნებისათვის. ბუნებრივია, რომ ეს ადგილზე გაცილებით უფრო რთული, ჩახლართული და ძნელი გამოდგა, ვიდრე პეტერბურგში ფიქრობდნენ. მაგრამ ყურადღებით რომ ეკითხათ მენაპირე მმართველთა მოხსენებაში და მთელი მიმოწერა საქართველოს საქმეებთან დაკავშირებით, უფრო ღრმად ჩასწვდებოდნენ საქმეს, მაშინ შესაცხადებელიც გაცილებით უფრო ნაკლები ექნებოდათ. უსაფუძვლო მოლოდინი იმედგაცრუებამ შეცვალა, და ჯოხი ქართველებზე გადატყდა.

ჩვენ უკვე ვთქვით, რომ რუსეთის დახმარება გაამყარებდა მეფეების მდგომარეობას შიგ საქართველოშიც (გარეგანი არაუზრუნველყოფილება და ქვეყნის შიგნით მეფის ტახტის მერყეობა უმჭიდროვესად იყო დაკავშირებული ერთმანეთთან. ასე რომ, როგორც ზემოთ უკვე ითქვა, საგარეო ურთიერთობაში მხარდაჭერას თავისთავად მოჰყვებოდა ხელისუფლებისა და წესრიგის განმტკიცება. დინასტიური და ეროვნული ინტერესები ემთხვეოდა ერთმანეთს). ასე რომ, თუ რუსეთი თავის ინტერესებს ისახავდა საქართველოში, ქართველი გამგებელნიც იმედოვნებოდნენ, რომ იომებდნენ რა ოსმალეთთან რუსეთის მოწოდებით, ისინი მიაღწევდნენ თავიანთი საქმეების არსებითს განმტკიცებას.

მაგრამ, ყოველ ჯერზე, როცა ატყობდნენ, ესენი საკუთარ თავსაც არ ივიწყებენ, თავის თავზეც ფიქრობენო, რუსეთის ხელისუფალნი მთავრებს ამას საყვედურობდნენ: ისინი უსიტყვო მორჩილებას თხოულობდნენ.

არასახარბიელო მდგომარეობას ისიც ამწვავებდა, რომ რუსი გენერლები თავიანთ სამხედრო წამოწყებებში დიდ ქუდბედიანობას ვერ დაიკვეხნიდნენ, მაშინ როდესაც ერეკლესაც და სოლომონსაც მრავალი წარმატება ჰქონდათ მოპოვებული. ეს ზოგადი მონახაზი საკმარისი უნდა იყოს იმისათვის, რომ წვრილად აღარ შევჩერდეთ 1768-74 წლების მოვლენების განხილვაზე.

მაგრამ ასე იყო, თუ ისე, საქმე მოგვარდა.

იმპერატრიცა და პანინი თავიანთ უკმაყოფილებას გამოხატავდნენ ქართველი მეფეების მიმართ სიგელებსა და წიგნებში, რომელთა ზოგი ადგილი სოლომონისა და ერეკლეს თავმოყვარეობისათვის საწყენი უნდა ყოფილიყო (იხ. მაგალითად, ეკატერინე II-ის 1770 წლის 9 ივლისის „სასაყვედურო“ სიგელი ერეკლესადმი (ტოტლებენთან მისი დატაკების შემდეგ) და პანინის „მოწყალეობითი“ წერილი, რომელიც იმავე დროს დაიწერა. პანინის შეხედულებით, გენერალს შეეძლო მოჰქცეოდა ერეკლეს „სამხედრო წესების მთელი სიმკაცრით“. მაგრამ, ანუგეშებს იგი მეფეს, „კეთილშიმთხვეულია, ყოველ შემთხვევაში, თქვენი ბედი იმ მხრით, იგი სულგრძელი და გულმოწყალე მონარქის გადასაწყვეტი შეიქნა“. Грамоты, №№ 56, 57). თუმცა შემდეგ, უწინდელი კეთილმწადნელობა აღდგა, და კილოც შერბილდა. მაგრამ, საბოლოოდ, საქართველოს ექსპედიციამ არ გაამართლა ეკატერინეს მოლოდინი. ქართველებზე გული აიცრუეს — ეს უეჭველი იყო (განვლილი დროის მანძილზე აქაური ჯარების საქართველოში გაგზავნას და იქ შენახვას არ მოუტანია ისეთი წარმატება და სარგებელი საერთო მტრის წინააღმდეგ, რასაც სავარაუდოდ მოველოდით“. ib 167, შდრ.№№ 148,149,150. ბოლოს და ბოლოს, რუსეთის არმიისა და ყველა თვალსაზრისით ისეთი „ირეგულარული“ ხალხის ერთობლივი მოქმედება, როგორიც ქართველობაა, — ვერც იქნებოდა სხვაგვარი).

თუ სამართალია, გულასაცრუებელი არაფერი ჰქონდათ: ქართველებმა მთელი რიგი გამარჯვებანი მოიპოვეს ოსმალებზე, გზავნიდნენ მეფისკარზე ალაფს, მზად იყვნენ, ეომათ ad infinitum. „მსახურებდნენ“, როგორც შეეძლოთ, როგორც იცოდნენ.

რუსეთის მთავრობის უკმაყოფილების თავი და თავი — ეს უსიამოვნებანი და სამხედრო დისციპლინის ის დარღვევები იყო, რომლებიც ექსპედიციის დროს ხდებოდა. რა თქმა უნდა, ეს ყოველივე მალე მიეცა დავიწყებას. „ეს შფოთიანობა შორეულ ამიერკავკასიაში, ამბობს სოლოვიოვი, ვერ მოახდენდა ძლიერ შთაბეჭდილებას: მათი ბევრი არაფერი იცოდნენ რუსეთში, და საერთოდ არაფერი არ იცოდნენ დასავლეთ ევროპაში, სადაც კარგად იცოდნენ კაგულისა და ჩესმის ბრძოლების ამბავი“.


З. АВАЛОВЪ
ПРИСОЕДИНЕНІЕ ГРУЗІИ
КЪ
РОССІИ
С.-ПЕТЕРБУРГЪ
1901

ეს მრავალი გარემოების ამხსნელია: ეკატერინე თავიდან დაინტერესდა ამიერკავკასიის ექსპედიციით, არაერთგზის ახსენებდა მას ვოლტერისადმი წერილებში: შემდეგ, როცა მოლოდინი გაუცრუვდათ, დაივიწყეს, რამ აიძულა საქართველოს მმართველნი დაუფარავი მტრობით მოჰკიდებოდნენ ოსმალებს, თავდაპირველად, იგონებდნენ ხრიკებს, როგორ გადაეწყვეტინებინათ ქართველებისათვის, აღმდგარიყვნენ პორტასთან საომრად; მოგვიანებით კი, ცდილობენ ჩააგონონ ქართველებს, რომ მათ „აბეზარი და არაერთგზისი სათხოვრების“ პასუხად, ხათრით მიაღებინეს მონაწილეობა ომში. იხ. მაგალითად, ib გვ.336,339. დაივიწყეს, რომ მათ აშენებას ჰპირდებოდნენ, რომ ომში მათი მონაწილეობა იყო არა ეპიზოდური, არამედ სწორედ რომ სამამულო, როცა კავკასიონს მიღმა ერთი მუჭა ვაჟკაცები კუდით ქვას ასროლინებდნენ შეუდარებლად უძლიერეს მტერს, და მთელ თავის გამარჯვებებს მიაწერდნენ „მისი იმპერატორობის დიდებულების სვიანობას“, ამ გამარჯვებათა გამოძახილს თვით რუსეთში სრულიად აჩუმათებდა კაგულისა და ჩესმის გამარჯვებათა გრგვინვა — ევროპამდე კი საერთოდ არც მიდიოდა (ასპინძის გამარჯვების შემდეგ, რომლის მთელი ალაფი იმპერატრიცას გაუგზავნეს, ერეკლეს არ მიუღია არც სამადლობელი რესკრიპტი, არც საერთოდ არავითარი მოწონების გამოხატულება. ეტყობა, ამის მიზეზი იყო ტოტლებენის ფლიდური მოხსენებანი).



ის, რასაც მეფეებს ჰპირდებოდნენ, არ შეასრულეს: ჯერ ერთი, შეიცვალა გარემოებანი, მეორეც, რუსეთის მთავრობამ დროებით აიყარა გული ქართველებზედ, ტოტლებენის (როგორც ახლა ირკვევაძ არაკეთილსინდისიანი მოხსენებისა გამო.

## III.

### 1.

რა შედეგი მოჰყვა ომს ქართველებისათვის? ყველაზე ნაკლები, რისი იმედიც შეეძლოთ ჰქონოდათ, — ეს იყო „ტრაქტატში შეტანა“. ქართველები დარწმუნებული იყვნენ, რომ ტრაქტატის დადებისას მათ არ დაივიწყებენ. ქუჩუქ-კაინარჯის (1774 წლის 20 ივლისის) ტრაქტატის პირი გაეგზავნათ ერეკლეს და სოლომონს, უმაღლეს სიგელებთან და პანინის წერილთან ერთად. ამ სიგელების არსი იყო, შეეგნებინათ ქართველებისათვის, რაოდენ გააბედნიერა ისინი ტრაქტატმა.

„ჩვენგან მთელი ქართველი ერისადმი გაწეული ასეთის ქველის მოქმედების შემდეგ... გვაქვს საფუძველი, მოველოდოთ, რომ თქვენი უსინათლესობულება და სხვა გამგებელნი საქართველოსი დარჩებით მადლიერნი ჩვენი საიმპერატორო ტახტისადმი და წილ-ხვედრით თქვენი გახარებულით და კმაყოფილით“. აი, რას სწერს, სხვათა შორის, ეკატერინე ერეკლეს. პანინი ულოცავს „მთელი გულით და სულით“ სოლომონს „ხვდენილ ფასდაუდებელ ბედნიერებას“.

მაინც, რა მოიგო საქართველომ ქუჩუქ-კაინარჯის ტრაქტატის 23-ე მუხლით?

უწინარეს ყოვლისა, ერეკლესათვის ვითომდა მისი შესახები ტრაქტატის პირის გამოგზავნისა, საკუთრივ ერეკლესა და ქართლ-კახეთის სამეფოს შესახებ იქ სიტყვა არ არის ნათქვამი. აღმოსავლეთ საქართველოზე ოსმალეთს არავითარი პრეტენზია არ ჰქონია და არ განუცხადებია: მეზობელ ფაშებთან თანშეკრულებითი ურთიერთობა მუდამჟამს იყო ერეკლეს პოლიტიკის ერთ-ერთი პუნქტი. თუ იგი ომში ჩაება, მხოლოდ რუსეთის შემდგომი მფარველობისა და მხარდაჭერის იმედით. მას ეგონა, რომ ოსმალეთისაგან განდგომის ფასად, მხარში ამოიყენებდა რუსეთს, უვნებელჰყოფდა ქვეყანას გარედან, განმტკიცდებოდა შიგნით, ბოლოს და ბოლოს საქართველოს მიეცემოდა შესაძლებლობა, ესარგებლა მკვიდრი წესრიგის სიკეთით. გარდა ამისა, ერეკლეს არ ასვენებდა ბაგრატოვანთა ძველი იდეა — დაებრუნებინა ოსმალოთაგან წართმეული პროვინციები: იგი მოხარული იქნებოდა, რუსის ჯარის დახმარებით, გამოსულიყო უფრო ფართო ასპარეზზეც: დაეყენებინა სპარსეთში ქართველებისა და რუსებისათვის სასურველი შაჰი, შესულიყო მცირე აზიის სიღრმეში და დაეპყრო იგი იმპერატრიცასთვის სტამბოლამდე.

კაცი, რომელსაც ასეთი გეგმები ამოძრავებდა, ვერ იქნებოდა მორჩილი იარაღი ტოტლებენის ხელში.

ქართლ-კახეთის სამეფოს შესახებ ტრაქტატში კრინტი არ არის დაძრული: თუმცაღა, სწორედ ახლა, ომში მონაწილეობის შემდეგ, მისი ტრაქტატში მოხსენიება აუცილებელი იყო. ერეკლეს რჩებოდა, მხოლოდ დიდება მისი გამარჯვებიდან — და მოლოდინი შურისგებისა ოსმალების და ლეკების მხრით (ტრაქტატში ლაპარაკია საქართველოზე და ქართველებზე, მაგრამ, ამასთან, დასავლეთი საქართველო იგულისხმება).

სოლომონს, იმერეთის მეფეს, ყოველივე ეს უფრო უშუალოდ ეხებოდა, მაგრამ რუსეთ-ოსმალეთის ომამდე ჯერ კიდევ დიდი ხნით ადრე მან უარი თქვა, ეხადა ხარკი ტყვეებით (რაზეც ახლა, ტრაქტატის მიხედვით, პორტა ფორმალურად უარს ამბობს, და დებს პირობას, რომ არ შეავიწროვებს ქრისტიანობას. ib, მუხ. 23), და აკრძალა ტყვეთსყიდვა. სოლომონი აგრეთვე ძალზედ წარმატებით ეწეოდა პარტიზანულ ომს ოსმალების წინააღმდეგ და იმედოვნებდა, რომ რუსეთის შემწეობით, საბოლოოდ განიმტკიცებდა მდგომარეობას გარეთაც და იმერ-ამერშიც.

ტრაქტატს მისხალიც არ დაუმატებია იმისათვის, რასაც სოლომონმა უკვე მიაღწია: კიდევ უარესი, რუსეთი ცნობს status quo arte, სწორედ იმ გარემოებათა წყებას, რომელთა აღმოფხვრაც ეწადა სოლომონს, ე. ი. ოსმალებს ტრაქტატის მიხედვით იმერეთსა და სამეგრელოში ეკუთვნით ის — და იმდენად — რაც მათ აქამდე ეკუთვნოდა. საქმე რომ დაიძვრებოდა, სულ თავიდანვე, მოსალოდნელი იყო, რომ ოსმალებს აიძულებენ პრინციპულად აიღოს ხელი უზენაესობაზე დასავლეთ საქართველოს მიმართ. მაგრამ სწორედ ეს არ იყო. „ვინაიდან ხსენებული ხალხები ბრწყინვალე პორტას ქვეშევრდომნი არიან, რუსეთის იმპერიას არ გააჩნია არავითარი ზრახვა, ჩაერიოს ამ საქმეებში ან შეავიწროვოს ისინი“. აი, გარდაწყვეტილი სიტყვები 1774 წლის ტრაქტატის განსახილველი მუხლისა.

### 2.

ასე დასრულდა ხუთი წლის მოლოდინი და ძალისხმევა. რა გასაკვირია, რომ საქართველოში ზოგნი ასე აფასებენ რუსეთ-ოსმალეთის შეთანხმებას: „რუსეთი დაუზავდა ოსმალებს და იმერეთი გადაულოცაო“. უფრო მეტიც, მრავლად იყვნენ ისეთებიც, ვინც რუსის ჯარის უკან გაბრუნების (1772 წ. ზაფხული) შემდეგ აცხადებდნენ, რუსული კორპუსი საქართველოში იმისთვის გაგზავნეს, რომ იქაური ქრისტიანები ოსმალებთან ომში ჩაერთოთო — მერე კი უკან წაიყვანესო.

თარგმნა
**არჩილ მანჯგალაძემ**

(გაგრძელება იქნება)

იბეჭდება შემოკლებით

გაგრძელება. დასაწყისი
იხ. „სრ“ № 203-213.

**ინფორმაცია**

## საჭიროა ნეიტრალური პოზიციის მქონე ტელევიზია

**თბილისში** გუშინ მუშაობა დაიწყო სამხრეთ კავკასიის მედიასაშუალებების მე-5 კონფერენციამ სახელწოდებით — „გამოწვევები საზოგადოებრივი მაუწყებლობისა და ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლის მიმართულებით“.

ორდღიანი კონფერენციის ორგანიზატორია ეუთოს მისია. მასში მონაწილეობენ სამხრეთ კავკასიის ქვეყნების მედიასაშუალებების რედაქტორები, ხელისუფლების წარმომადგენლები, ექსპერტები.

განიხილება მედიის თავისუფლებისა და სამხრეთ კავკასიის ქვეყნების წინაშე არსებული გამოწვევების გადალახვის გზები.

როგორც კონფერენციის გახსნისას მედიის თავისუფლების საკითხების ექსპერტმა ნიკლოშ ჰარაშტიმ განაცხადა, საზოგადოებრივი მაუწყებლობა უნდა თამაშობდეს მნიშვნელოვან როლს, „საზოგადოებრივი მაუწყებელი“ არის დემოკრატიის ნაწილი, სადაც საზოგადოებრივი აზრი უნდა ჟღერდეს.

როგორც მოსკოვის მედიის კანონმდებლობისა და პოლიტიკის ინსტიტუტის დირექტორმა ანდრეი რიხტერმა განაცხადა, მედიასაშუალებებთან დაკავშირებული კანონმდებლობის თვალსაზრისით, საქართველო არის ლიდერი სახელმწიფო არა მხოლოდ სამხრეთ რეგიონში, არამედ — ევროპის ნაწილშიც.

შედარებისთვის მან რუსეთში არსებული მდგომარეობა დაასახელა და აღნიშნა, რომ იქ საზოგადოებრივი მაუწყებლობა საერთოდ არ არსებობს, შესაბამისად, შესაცვლელიც არაფერია.

ანდრეი რიხტერი იმედოვნებს, რომ დისკუსიები შესაძლებელს გახდის, „საზოგადოებრივი მაუწყებელი“ საქართველოში რეალურად იყოს ნეიტრალური პოზიციის მქონე ტელევიზია.

## ტელევიზია ოპოზიციითაც უნდა დაკომპლექტდეს

**გაერთიანებული** ოპოზიცია „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ მეორე არხის მმართველი საბჭოს ოპოზიციით დაკომპლექტებას ითხოვს.

როგორც გაერთიანებულ ოპოზიციაში შემავალი „კონსერვატიული პარტიის“ ერთ-ერთმა ლიდერმა კახა კუკავამ განაცხადა, საპარლამენტო არჩევნებში გამარჯვებული ოპოზიციური პარტიების მიერ უნდა დაკომპლექტდეს მეორე არხის მმართველი საბჭო, მათ მიერ არჩევნებში მიღებული ხმების პროპორციულად.

კახა კუკავას თქმით, წინააღმდეგ შემთხვევაში, არსებული ადმინისტრაციის შენარჩუნების პირობებში, ეთერის დათმობა ხელისუფლების სატელიტი ორგანიზაციებისათვის ვერ იქნება განხილული როგორც რეალური რეფორმა სიტყვის თავისუფლების სფეროში.

კახა კუკავამ საერთაშორისო ორგანიზაციებს მოუწოდა, რომ ინიციატივასთან დაკავშირებით ხელისუფლებასთან კონსულტაციები დაიწყოს.

ინტერპრესნიუსი

***ქ. თბილისის მერიამ, 2008 წლის 29 მაისს გამოაცხადა „ორეტაპიანი ტენდერი ქ. თბილისში მერიის შენობის მიმდებარე ტერიტორიაზე მრავალსართულიანი ავტოსადგომის მშენებლობის სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის მიზნით“.** მე და ჩემმა კოლეგებმა, მიუხედავად ზოგადად ტენდერებისადმი ჩვენი, ასევე ფართო საზოგადოების უკიდურესად ნეგატიური დამოკიდებულებისა, ხოლო **პროექტის იაფად შედგენაზე ტენდერის სრული აბსურდულობისა**, მაინც მივიღეთ მონაწილეობა ამ ტენდერში. ამისთვის არსებობდა სათანადო წანამძღვრები. ჩვენ, ბოლო ხუთი წლის განმავლობაში დედაქალაქის აუცილებლობიდან გამომდინარე, ინტენსიურად ვმუშაობდით მრავალსართულიანი მიწისზედა, მიწისქვეშა და შერეული ტიპის ავტოსადგომების პრობლემაზე სხვადასხვა ქალაქგეგმარებითი და ტოპოგრაფიული პირობებისათვის.*




**კორუფციის ტყვეობაში**

# ტენდერი იაფად მგალობელ ბულბულზე

ზემოთ ვახსენე „პროექტის იაფად შედგენაზე ტენდერის სრული აბსურდულობა“. უმთავრესი შეუსაბამისობა, რომელიც ბუნებრივად იწვევს გაუგებრობათა მთელ წყებას, ისაა, რომ არქიტექტურულ შემოქმედებას, ანუ პროექტის შექმნას, ისევე როგორც მუსიკის, პოეზიის, ლიტერატურის, კინოს, თეატრის, სახვითი ხელოვნების ფასეულობებს და ღირებულებებს არაფერი აქვს საერთო იმასთან, რასაც „ტენდერი“ გულისხმობს. ეს იგივეა, რომ ითამაშო ფეხბურთი რაგბის წესებით.

ყოველივე ზემოთქმული სრულებითაც არ ნიშნავს იმას, რომ მსოფლიოში არ ტარდება არქიტექტურულ-სამშენებლო ტენდერები, პირიქით, ის აუცილებელია ყველა საბიუჯეტო ობიექტისთვის, კერძო ინვესტორებიც არ იშურებენ ძალისხმევას მიიღონ საინტერესო არქიტექტურული შენობა ნაკლები დანახარჯებით, მაგრამ, როგორც წესი, საუკეთესოს შერჩევა ხდება ორ ეტაპად — კონკურსი პროექტზე (საერთაშორისო, საქვეყნო, შეკვეთილი, ღია და სხვ.) და ტენდერი პროექტის რეალიზაციაზე, მშენებლობაზე, მუშა პროექტის სრული პაკეტით, ყველა აუცილებელი სპეციფიკით, საინჟინრო და ტექნოლოგიური მოწყობილობების ინდექსების მითითებით და არა არქიტექტურული მაკეტითა და კომპიუტერული ტრიუკებით. თუ სატენდერო პაკეტი არ არის მომზადებული სკრუპულოზური სიზუსტით, ის **ფიქციაა და პირდაპირ კავშირშია სერიოზულ კორუფციასთან.** ტენდერი არარსებული არქიტექტურული პროექტის **„საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების სახელმწიფო შესყიდვაზე“** — ეს ჩვენი, საქართველოს ექსკლუზივია, რომელსაც ანალოგი არ გააჩნია მსოფლიოში. თქვენ „ყიდულობთ“ იაფად დამპროექტებელს და არ იცით — რა არქიტექტურულ-მხატვრული, სივრცობრივი, კონსტრუქციული, ტექნოლოგიური ხარისხის მატარებელი იქნება პროექტი. ზემოაღნიშნული ტენდერის მოთხოვნები, დაწესებული ვადები, ზუსტი ანალოგია ტენდერისა ტუალეტის ქაღალდის შესყიდვაზე. სამწუხაროდ, ისტორიამ ვერაფერი გვასწავლა, აკი ვნახეთ იაფად და ჩქარა დაპროექტებული და გაშენებული შენობების, იაფად დაგებული ასფალტის, იაფი სწავლის შედეგები.

**ამდაგვარი არქიტექტურული ტენდერი ისეთივე აბსურდია, როგორც ტენდერი ადრე მშობიარობაზე ან იაფად მგალობელ ბულბულზე... არც ის იქნება გასაკვირი, რიგოლეტოს პარტიის იაფად შესრულებაზე გამოცხადდეს ტენდერი!.**

როგორ იმართება ურთულესი, არქიტექტურულ-სამშენებლო პროცესები მსოფლიოში? XX ს. მეორე ნახევარი აღინიშნა არქიტექტურული კონკურსების სიმრავლით, როგორც წესი, მათი ერთ-ერთი ორგანიზატორი და მეთვალყურეა საერთაშორისო არქიტექტორთა კავშირი (UIA). მსოფლიო დიდი ხანია მიხვდა, რომ მნიშვნელოვანი არქიტექტურული ნაწარმოების შექმნას ხუროთმოძღვარის ნიჭთან ერთად ისეთივე მაღალი სახელმწიფოებრივი ყურადღება და ზუსტი დაგეგმვა სჭირდება, როგორც სხვა მნიშვნელოვან სახელმწიფოებრივ მიზანს. საკმარისია გავიხსენოთ პრეზიდენტ ფრანსუა მიტერანის არქიტექტურული პროგრამა „პარიზის დიდი პროექტების“ (შვიდი პროექტი) საერთაშორისო კონკურსები, რომლის შედეგადაც პარიზმა და მსოფლიომ შეიძინეს ისეთი მნიშვნელოვანი არქიტექტურული ნაწარმოებები, როგორიცაა შპეკელსონის დე-ფანსის „დიდი თაღი“, კარლოს ოტტსის ბასტილიის ოპერა, ბერნარდ ჩუმის პარკ ლა-ვილეტი, გაე აულენტის ორსის მუზეუმი, პოლ შემეტოვის და ბოჯა ჰაიდობროს საფრანგეთის ფინანსთა სამინისტროს შენობა, ჟან ნუველის არაბეთის კვლევის ინსტიტუტი. საერთაშორისო კონკურსებმა შვეს XX ს. უდიდესი არქიტექტურული ნაწარმოები: უდზონის სიდნეის ოპერის თეატრი, არატა ისოზაკის კონგრესის ცენტრი ნარაში, რენძო პიანოს პოდსტდამის მოედანი ბერლინში, ქრისტიან დე პოტზამპარკის მუსიკალური ცენტრი პარიზში. სპორტული ნაგებობები ათენის და პეკინის ოლიმპიადებზე და მსოფლიო ჩემპიონატებზე — კ. კუროკავას ოიტას სტადიონი, თ. ჰერცოგის სტადიონი „ჩიტის ბუდე“ პეკინში და სხვა მრავალი. წესებსა და კანონებს დაქვემდებარებული, პროფესიული ჟიურის მიერ შეფასებული კონკურსები, ყველაზე დემოკრატიული და შედეგიანი გზაა არქიტექტურული პროცესის რეგულირებისა და ხშირ შემთხვევაში იწვევს არქიტექტურული აზრის თვისობრივ პროგრესს. კონკურსები ბუნებრივად გულისხმობს საზოგადოებრივი აზრის აქტიურ მონაწილეობას.

- **ტენდერი პირველი, ტენდერი უკანასკნელი**
- **არქიტექტორი ხელისუფლების „ხელის ბიჭი“ არ არის!**

ელემენტარული ჭეშმარიტებაა, კუსტარული, არაპროფესიული ორგანიზაციული საწყისი აუცილებლად იწვევს არაპროფესიულ, ბანალურ შედეგს.

**დაუშვებელია მიზნის ჩანაცვლება საშუალებით.**

დავუბრუნდეთ თბილისის მერიის ზემოხსენებულ ტენდერს. ის გამოცხადდა 2008 წლის 29 მაისს. პირველადი განაცხადის წარმოდგენის ვადად განისაზღვრა 18 ივნისი (20 დღე). სატენდერო კომისიაში შემოვიდა მხოლოდ 5 განაცხადი, დარწმუნებული ვარ პროექტზე კონკურსის გამოცხადების შემთხვევაში მასში გაცილებით მეტი მონაწილე იქნებოდა. **ასეთი დაბალი აქტივობა მიანიშნებს საერთოდ ტენდერებისადმი იმედგაცრუებაზე, ამ საქმეში გამეფებულ კორუფციაზე და იმაზე, რომ ბევრი ორგანიზაციისთვის ტენდერი კულისებში მიღებული გადაწყვეტილების „გათეთრება“-დაკანონების საშუალებად იქცა.** საკვალიფიკაციო მონაცემების შესწავლას ზუსტად ერთი თვე დასჭირდა (17 ივლისი, 2008) — ობიექტურად, ამისთვის, ალბათ, 3-4 საათი იყო საჭირო. ტენდერის მეორე ეტაპზე დაუშვეს სამი მონაწილე. მეორე ეტაპის სატენდერო წინადადების წარმოდგენის ვადად განისაზღვრა 6 აგვისტო (19 დღე). **ცნობისთვის: კარგად რომ განისაზღვროს ობიექტის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის და საავტორო ზედამხედველობის მომსახურების ღირებულება, რის დადგენასაც ეძღვნება ტენდერი, უნდა არსებობდეს პროექტი, ვინაიდან პროექტირების ღირებულება, ანუ სატენდერო ტერმინოლოგიით „მომსახურების“ ღირებულება პირდაპირ გამომდინარეობს ობიექტის მშენებლობის ღირებულებიდან და მას ჰაერიდან ვერ აიღებ, თუ მუშა სტადია არა, საპროექტო წინადადების დონეზე მაინც უნდა იყოს პროექტი შესრულებული, ამისთვის 19 დღე წარმოუდგენლად მცირეა. მეორე ეტაპზე, ტენდერში დაშვებული სამი მონაწილიდან მხოლოდ ორმა წარმოადგინა სატენდერო პაკეტი. სიიაფესთან ერთად გამარჯვებულს ერთი თვის ვადაში უნდა წარმოედგინა პროექტი. ეს კი ნიშნავს: არქიტექტურული, კონსტრუქციული, სანტექნიკური, მექანიკური, ელტექნიკური და სუსტი დენების ნაწილების 100-მდე ნახაზს, ასევე მშენებლობის ორგანიზაციის პროექტს და ხარჯთაღრიცხვას.** ცნობისათვის: ამდაგვარი ობიექტის დაპროექტებისთვის სახელმწიფო აწესებს 5-6 თვეს. მინდა ვიფიქრო, რომ ერთთვიანი ვადის დაწესება საპროექტო პროცესის უცოდინარობის და დილეტანტობის შედეგია, ეს — უკეთეს შემთხვევაში, უარეს შემთხვევაში — კორუფციაზეც შეიძლება იფიქროს ადამიანმა, რაც სრულიადაც არ არის უცხო საბიუჯეტო ობიექტზე ტენდერებისთვის. ან რა სირთულეს წარმოადგენდა მერიის შესყიდვების სამსახურის თანამშრომლისთვის ჩასულიყო იმავე შენობის მეოთხე სართულზე არქიტექტურის სამსახურში, პირველივე შემხვედრი ეტყოდა, რომ ეს პროცესის ბოლოდან დაწყებაა, რომ გაწეული შრომა წყალში გადაყრილი იქნება, სანამ არქიტექტურის სამსახური არ გასცემს არქიტექტურულ-გეგმარებით დავალებას, რომ პროექტის წარმოდგენისათვის ერთი თვის ვადის დაწესება ღიმილისმომგვრელია და სხვ.

**ტენდერის ორგანიზატორები რომ იაფად მგალობელ ბულბულს ეძებენ და არქიტექტურულ-ქალაქგეგმარებით-ესთეტიკური პრობლემა საერთოდ არ აინტერესებთ, ამას სატენდერო კომისიის შემადგენლობა ადასტურებს.** კომისიის 6 წევრიდან 5 არქიტექტორი არ არის, ყველა მერიის სხვადასხვა რანგის თანამშრომელია, ხოლო ერთ-ერთი წევრი, მართალია სპეციალობით არქიტექტორია, მაგრამ კომისიაში მონაწილეობს როგორც მერიის თანამდებობის პირი.

ახლა იმაზე, თუ როგორ გამოვლინდა იაფად მგალობელი ბულბული: ორმა კონკურსანტმა წარმოადგინა „მომსახურების“ ღირებულება, შპს „საქპროექტ არქიტექტურამ“ — 57.700 ლარი, შპს „ვახტანგ დავითაია. არქიტექტურა, მშენებლობამ“ — 128.400 ლარი, განსხვავება არსებითია. გამოგიტყდებით, „მომსახურების“ ღირებულებაში განსხვავება იმდენად არსებითია, რომ მეც რომ ვყოფილიყავი სატენდერო კო-

მისიის წევრი, იმავე გადაწყვეტილებას მივიღებდი. ტენდერი ხომ იაფად მკეთებელზე იყო გამოცხადებული, მაგრამ ძალიან მიჭირს წარმოვიდგინო, როგორ უნდა შეასრულო ამ სირთულის პროექტი სრულფასოვნად, თანაც ლითონის კონსტრუქციებში, „აკრეფადობის“ მოთხოვნებით, უზუსტესი სპეციფიკით, დეკლარირებული თანხით, თუ არა იმედი „პირობების“ შემდგომი კორექტირებისა. არსებობს სახელმწიფო ნორმები საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის განფასებისა, რომელიც ისედაც ერთიხუთად (თუ არა ერთიათადძ მცირეა საერთაშორისო ნორმებზე, რომლის მიხედვითაც ამ ტიპის, მოცულობის და ფართის შენობის საპროექტო ღირებულება უდრის 150.500 ლარს. **ჩანს, ტენდერს თავისი ქვეტექსტები აქვს, რომლის საიდუმლოებები დამწყები მეტენდერეებისთვის უცხოა.**

გაზეთ „24 საათის“ დამატებაში ხშირად ცხადდება ამდაგვარი გაუგებარი არქიტექტურულ-სამშენებლო ტენდერები. ბოლო კი, ესაა 18 ოქტომბრის „24 საათში“ გამოცხადებული ტენდერი ქ. დუშეთში ოლიმპიური მომზადების ცენტრში 100-ადგილიანი სასტუმროს „საპროექტო მომსახურების შესყიდვა“, ანუ ისევ ტენდერი იაფ დამპროექტებელზე. განაცხადის მიღების ვადა 7 ნოემბერს ამოიწურა. შემოვიდა მხოლოდ 4 განაცხადი! ეს კიდევ ერთი დასტურია იმისა, რომ ამდაგვარ ტენდერს არქიტექტორები სრულ უნდობლობას უცხადებენ. ეს საკითხი დიდი ხანია მაწუხებს, დღეს თუ არა ხვალ, მაინც ვაპირებდი პუბლიკაციას. რადგან ეს მოხდა დღეს, ის დააჩქარა ზემოაღნიშნულმა პირადმა გამოცდილებამ. ეს პუბლიკაცია არ არის მიმართული კონკრეტული პიროვნების და არც ტენდერის ორგანიზატორების წინააღმდეგ. პირიქით, სატენდერო კომისიის აპარატის წევრები, ხაზგასმულად კორექტულნი იყვნენ და ჩვენს არაერთ შეკითხვაზე ყოველთვის დროულ და ამომწურავ პასუხს იძლეოდნენ. ეს პუბლიკაცია არის სურვილი არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობის სწორად წარმართვისა. **ვინ უნდა მოაქციოს არქიტექტურულ-სამშენებლო პროცესი კანონიერებისა და წესების ფარგლებში? არქიტექტურისა და მშენებლობის სამინისტრო, სახელმწიფო ექსპერტიზის სამსახური, რომლებიც არც თუ ისე ურიგოდართმევდნენ თავს ამ რთული დარგის მართვას და ითვლებოდნენ არქიტექტურულ-სამშენებლო წესრიგის გარანტად, დაუფიქრებლად და დანაშაულებრივად პირწმინდად იქნა აღგვილი პირისაგან მიწისა. მათი ფუნქცია დაეკისრა ეკონომიკის სამინისტროს 7-10 კაციან განყოფილებას. ბუნებრივია, 7-10 კაცი, რაც არ უნდა მაღალი კვალიფიკაციისაც არ უნდა იყვნენ ისინი, ამ ურთულეს დარგს ვერ წარმართავს;**

**მე მივაპყრობ სამინისტროს ხელმძღვანელობის ყურადღებას ამ უმნიშვნელოვანეს სახელმწიფოებრივ საკითხზე, რათა საქართველოს მთავრობამ შექმნას სათანადო ორგანიზაციული პირობები ქვეყანაში არქიტექტურულ-სამშენებლო პროცესის სწორად წარმართვისთვის.**

**ქ. თბილისის მერიის არქიტექტურული სამსახური, ალბათ, უფრო წარმატებით და პროფესიულად შესძლებდა არქიტექტურულ-ქალაქმშენებლობითი პროცესების წარმართვას, მაგრამ ამის ნებელობა უნდა ქონდეს ქვეყნისა და მერიის ხელმძღვანელობას, რომლებმაც მთლიანად მოახდინეს არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობის უზურპაცია.**

**და ბოლოს, დროა საქართველოს არქიტექტორთა კავშირი, მისი გამგეობა, სექციათა ხელმძღვანელები, რომლებმაც საკუთარი ნებით, თვითარჩევით განაცხადეს არქიტექტორთა კავშირში მოღვაწეობის სურვილი, გამოვიდნენ აპათიიდან, ნუ გახდებიან შორიდან მაცქერალნი იმისა, თუ როგორ ნაბიჯ-ნაბიჯ, მიზანმიმართულად იქცა ხუროთმოძღვარი „ხელის ბიჭად“ ხელისუფალთა და ინვესტორთა სამსახურში. არქიტექტურული შეცდომები, მსგავსად ქირურგის შეცდომისა, შეუქცევადია, პრაქტიკულად გამოუსწორებელი. ამავე დროს, განსხვავებით ყველა სხვა დარგებიდან, არქიტექტურული შედეგი პროგნოზირებადია, იგი ჩანს პროექტში. შევახსენებ ჩემს კოლეგებს — ისტორიას არ აინტერესებს რომელმა ხელისუფალმა იქონია მასზე ზეწოლა, ისტორიის სამსჯავროს წინაშე დგება მხოლოდ არქიტექტორი და მისი ძმნილება.**

**ვახტანგ დავითაია,**
აკადემიკოსი, რუსთაველის პრემიის ლაურეატი.



## ვინ შეცვლის ვითარებას?

***ოპოზიცია** კითხვის ნიშანს დაემსგავსა. თითქოს სიახლეს ეძებს, იცის, რომ ეს სიახლე აუცილებელია, მაგრამ ვერ უპოვია და მხოლოდ დაჯგუფება-გადმოჯგუფებაში ატარებს დროს. შეიძლება ითქვას, რომ ერთწლიანი მარათონის შემდეგ, გაურკვევლობამ ოპოზიციაში ყველაზე მეტად ახლა იჩინა თავი, და რაც სამწუხაროა, ისინი ურთიერთკილვას უნდებიან. შარშანდელი, უაღრესად კრიტიკული 7 ნოემბრის შემდეგ, ხელისუფლებამ არა მხოლოდ თავი გადაირჩინა, არამედ შეძლო უმთავრესი ამოცანის შესრულება — ხელისუფლების დაცვა და გამტკიცება. თანაც, ოპოზიციის რიგებში დაბნეულობა და ქაოსი შეიტანა, რის შედეგადაც გაურკვეველი ხდება, რომელია ნამდვილი და რომელი ფსევდოოპოზიცია.*

# „...რომ აღარც მახსოვს, იყო თუ არა“

## მრავალხმიანი სიმღერა თუ ხელოვნური გადაჯგუფება?

გაერთიანებული ოპოზიციის წევრები ფსევდოოპოზიციად არა მხოლოდ საპარლამენტო ოპოზიციას, არამედ უკვე გამსახურდია-შარტავა-ასათიანის ახალ გაერთიანებასაც მიიჩნევენ. თავის მხრივ, ოპოზიციური პარტიების ერთი ნაწილი აკრიტიკებს „გაერთიანებულ ოპოზიციას“ და ხელისუფლებასთან ალიანსში სდებს ბრალს, ისინი ხალხის ზურგს უკან ხელისუფლებასთან დიალოგს აწარმოებენო. ამ რამდენიმე თვის წინათ, სწორედ ამის გამო დატოვა „გაერთიანებული ოპოზიცია“ კონსტანტინე გამსახურდიას მოძრაობამ „თავისუფლებამ“. მართალია „ეროვნული ფორუმი“ ასე დემონსტრაციულად არ მოქცეულა, მაგრამ დღეს უკვე გაცხადდა, რომ „თავისუფლება“, „ეროვნული ფორუმი“ და ტრადიციონალისტები ერთად არიან.

სხვათა შორის, მაისის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ, კრიზისი ოპოზიციაში, და უშუალოდ „გაერთიანებულ ოპოზიციაში“ აშკარა იყო. ბევრს ლაპარაკობდნენ ამ გაერთიანების დაშლაზე, ლიდერების ურთიერთდაპირისპირებაზე. ახალი ლიდერის აუცილებლობა სწორედ „ეროვნული ფორუმის“ მესვეურებმა წამოწიეს, კრიზისიდან გამოსავალი ეს არისო, — გაიძახოდნენ. ბოლოს, მაინც ვერავინ გაიგო ამ მითიური ლიდერის ვინაობა, არც ახალი სახეები გამოჩენილან ასპარეზზე. თუ მხედველობაში არ მივიღებთ ხელისუფლებიდან ოპოზიციაში გადაბარგებულ ძველ „ახალ“ სახეებს ბურჯანაძისა და ნოღაიდელის სახით.

ასე რომ, იმ 7 ნოემბრიდან ამ 7 ნოემბრამდე ოპოზიციამ ვერც ახალი ლიდერი და ვერც ე. წ. ახალი ხედვა ხალხს ვერ შესთავაზა, ედპ-ს ლიდერი სიონში ლოცულობდა, თორთლაძის ახლად გამომცხვარი დემოკრატები კი სამებაში აღავლენდნენ ლოცვას. პარლამენტის წინ მიტინგიც დაქსაქსულიყო... ოპოზიციამ ხალხი ქუჩაში ვეღარ გამოიყვანა.

ექსპერტების აზრით, ოპოზიციას სწორი ამოცანა და გზა არ აქვს დასახული, რომელიც მას ხელისუფლების გამოცვლამდე მიიყვანს. ოპოზიციამ ყველაზე არსებითი — საქმე ვერ შესთავაზა ხალხს, ის მხოლოდ ხელისუფლების კრიტიკაში დაიხარჯა, ამასობაში, ხელისუფლებამ დრო იხელთა და უმთავრესი აქცენტი ხალხის ცხოვრების გაუმჯობესებაზე გადაიტანა, სხვადასხვა პროგრამა აამოქმედა, ბიზნესმენები ჩართო და მაინც შეძლო მოსახლეობის საკმაოდ დიდი ნაწილის გულის მოგება. ყოველ შემთხვევაში, თუ ვერ შეძლო, ის მაინც მოახერხა, რომ მათთვის ოპოზიციის ხელოვნური ერთიანობა და უსუსურობა დაენახვებინა. შედეგმაც არ დააყოვნა. წლევანდელ 7 ნოემბერს ისეთი სიმშვიდე სუფევდა, პოეტი რომ ამბობდა, ზღვა იყო ისე მშვიდი და წყნარი, რომ აღარც მახსოვს, იყო თუ არაო.

სწორედ ეს „აღარც მახსოვს...“ არის შემაძრწუნებელი. მართლაც, მივიწყებული იყო 2007 წლის 7 ნოემბერი, რაშიც აგვისტოს მოვლენებსაც მიუძღვოდა „წვლილი“. ნუთუ მართლა სპეციალურად „გათამაშდა“ ეს ომი რუსეთთან, რათა „ვარდების“ ხელისუფლება დასავლეთის ყურადღების ცენტრში მოქცეულიყო? იმასაც ამბობენ, სააკაშვილი შეეცდება რუსეთთან მუდმივი დაძაბულობა ჰქონდეს, რათა ეს ყურადღება არ მოაკლდესო, მით უფრო, რომ ახლა მას მამა-მფარველი ბუშიც აღარ ჰყავს. ოპოზიციის ერთი ნაწილი ფიქრობს, რომ ასეთი პერმანენტული ესკალაციებით ხელისუფლება საკუთარ სკამს ჩაებღაუჭება.

თავად ოპოზიცია კი დეკემბერში ახალი ძალის ფორმირებას აპირებს, ეს იქნება ორგანიზაცია, რომელიც პასუხისმგებლობას აიღებს ქვეყანაში შექმნილ ვითარებაზეო, — განაცხადა „გაერთიანებული ოპოზიციის“ ერთ-ერთმა ლიდერმა. თუმცა, ვფიქრობ, იგივე პრეტენზია ექნება გამსახურდია-ასათიანი-შარტავას გაერთიანებასაც. მეეჭვება, მათ ეს ერთიანობა დიდხანს შეინარჩუნონ, რომელიმე მათგანს ლიდერომანია არ წასძლიოს. თანაც, არა მგონია, ძველმა სახეებმა ახალ ამპლუაში რაიმე გარდატეხა მოახდინონ ოპოზიციაში.

ნუთუ ოპოზიციას მართლა გზა გადაკეტილი აქვს ხელისუფლების შეცვლისკენ? გამოდის, რომ ასეა. თანაც, გამსახურდია-ასათიანი-შარტავას ახალი მოძრაობა „გაერთიანებული ოპოზიციისგან“ განსხვავებით, ხელისუფლებასთან დიალოგს მართებულად არ მიიჩნევს. მაგრამ თუ მათთვის რევოლუცია და ძალის გამოყენებაც დაუშვებელია, მაშინ გაურკვეველია, საერთოდ, როგორ აპირებენ ბრძოლას. არ მინდა მჯეროდეს, რომ ისინიც რომელიმე ხელოვნურად შობილ ახლად გამომცხვარ პარტიას დაემსგავსებიან, რომლებიც ხელისუფლების კრიტიკის ნაცვლად ისევ და ისევ ოპოზიციური პარტიების მიმართ ურთიერთბრალდებებით შემოიფარგლებიან.

მართალია, შალვა ნათელაშვილი ოპტიმიზმით ალსავსეა და ოპოზიციის ასეთ გამიჯვნას ქართულ მრავალხმიან სიმღერას ადარებს, მაგრამ სიმღერა სიმღერაა, პოლიტიკას კი თავისი რეალობა აქვს. არა მგონია, ყველა ოპოზიციური ძალა სააკაშვილის გადადგომის საკითხში ერთიანი იყოს.

**თამარ შაიშმელაშვილი**

## ვითხოვთ სიტყვას!

# 28 ოქტომბერი გამოცხადდეს ქართული პარლამენტის დღედ!

**1990 წლის 28 ოქტომბერს ქართველმა ერმა აღასრულა საკუთარი ნება და აირჩია ხელისუფლება, რომელიც აღჭურვა კანონიერი უფლებამოსილებით, იურიდიული პასუხისმგებლობის პირობებში განესაზღვრა ჩვენი სამშობლოს პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული ორიენტირები.** მთელი მე-20 საუკუნე იღვწოდა ქართველი ერი ამ უფლების მოსაპოვებლად. მრავალი შეეწირა სამშობლოს თავისუფლებისთვის ბრძოლას. მაგრამ საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა არასოდეს არ ჰკარგავდა იმედს, არ ეგუებოდა მტრის ძალმომრეობას, არ ემორჩილებოდა ძალადობას — საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენას ესწრაფვოდა ქართველი ერი და 28 ოქტომბრის არჩევანით ეს მოთხოვნა აღასრულა სიბრძნით, მშვიდობიანი, კანონიერი გზით. 1990 წლის 28 ოქტომბერი არის და დარჩება ქართველი ერის თავისუფლებისკენ სწრაფვის სიმბოლოდ, მისი ნების გამოხატულებად კუთვნილი ადგილი დაიკავოს თავისუფალ ერთა თანამეგობრობაში, ქართულმა სახელმწიფომ — თავისუფალ სახელმწიფოთა მრავალფეროვნებაში.

**თანამემამულენო,**

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს I მოწვევის (1990 წ.ძ დეპუტატები მოგმართავთ საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეებს, არასამთავრობო ორგანიზაციებს, პოლიტიკურ პარტიებსა და მოძრაობებს თხოვნით, რომ საკუთარი განცხადებებით, პეტიციებით მხარი დაუჭიროთ ჩვენს ინიციატივას — **28 ოქტომბერი გამოცხადდეს ქართული პარლამენტის დღედ!** დაე, ეს აქცია იქცეს იმის დასტურად, რომ ქართველი ერი ითხოვს კანონისა და კონსტიტუციური წესრიგის აღდგენას: — გარანტირებული მშვიდობის პირობებში, სამართლებრივ, დემოკრატიულ სახელმწიფოში ცხოვრებას. ეს ჩვენი ერის უზენაესი უფლებაა და ქართველი ერი იმსახურებს ამგვარ გარანტიებს.

**საქართველოს დეპუტატთა კლუბ „28 ოქტომბრის“ წევრები,
საქართველოს უზენაესი საბჭოს I მოწვევის (1990 წ.) დეპუტატები:**

**მერაბ საყვარელიძე, გერმანე ფაცაცია, ზურაბ წიძარიძე, დავით ტაბიძე, ალექსანდრე ვარძელაშვილი, ეთერ ყაველაშვილი, თედო პაატაშვილი, ალექსანდრე კავსაძე, ედიშერ ჯანჯულია, ვაჟა გურგენიძე, ანზორ საკანდელიძე, ზურაბ ძოწენიძე, აკაკი ასათიანი, ჯემალ იონათამიშვილი, ნუგზარ შავთვალაძე, ვლადიმერ ცოფურაშვილი, თამაზ ყურაშვილი, ნუგზარ მგალობლიშვილი, ნოდარ ნათაძე, აპოლონ სილაგაძე, ავთანდილ იმნაძე, გურამ გვერდწითელი, გელა ჩორგოლაშვილი, თამაზ გველესიანი, მერაბ ურიდია, პაატა კოღუაშვილი, ემზარ გოგუაძე, მაია ნათაძე, ზვიად ბოკუჩავა, იოსებ კასრაძე, ნუგზარ მოლოდინაშვილი, არჩილ მაჭავარიანი, ნუგზარ კვაჭაძე, ავთანდილ რცხილაძე, თენგიზ დიხამინჯია, ჯემალ საჯაია, დავით კუპრეიშვილი.**

28 ოქტომბერი, 2008 წელი. დედაქალაქი

## რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# რატომ უგულებელყოფს დასავლეთი სიმართლეს საქართველოში ომის შესახებ?



**მადლობა, უფალო შენ, ფინანსური კრიზისისათვის, ფიქრობენ ამჟამად ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტისა და დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა სამინისტროში.** რომ არ ყოფილიყო ეს სამწუხარო სიახლეები დასავლეთ სამყაროს ეკონომიკის შესახებ, ამჟამად პრესაში გაჩაღდებოდა ახალი სკანდალი – და ამ სკანდალში დამნაშავის მოძებნა იქნებოდა გაცილებით იოლი. საქმე შეეხება ამ ორი ქვეყნის ურთიერთობას რუსეთთან და სიმართლეს საქართველო-რუსეთის ზაფხულის ომთან დაკავშირებით.

უკანასკნელი კვირების განმავლობაში ამერიკის და ბრიტანეთის მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში გაჩნდა ინფორმაციები და სტატიები, რომლებშიც ეჭვქვეშ აყენებენ მრავალრიცხოვან ვარაუდებს იმ ომის შესახებ. მთავარი ამოსავალი წერტილი კი იყო ის, რომ დამნაშავე მხარე არის რუსეთი. ბი-ბი-სის, „ნიუ-იორკ ტაიმსის" და კანადის ჟურნალ „ემბასის" ჟურნალისტები, აგრეთვე პრესის ბევრი სხვა წარმომადგენელი იყო კონფლიქტის ცენტრში, სახრეთ ოსეთში, რათა დაეზუსტებინათ ფაქტები.

არა ის „ფაქტები", რომლებიც გვაცნობა მაშინ უკიდურესად მოხერხებულმა და მოქნილმა პიარმანქანამ საქართველოდან, არა ის „ფაქტები", რომლებიც გამოიტანეს ღრმა თავდაცვისთვის კრემლის სპეციალისტებმა, რომლებიც ავრცელებდნენ ინფორმაციას. ისინი შეეცადნენ დაედგინათ ფაქტები თვითმხილველთა მიერ განცდილის შესახებ. ესენი იყვნენ მშვიდობიანი მოსახლეობა, ადგილობრივი სამხედრო ხელმძღვანელები, აგრეთვე ამ რეგიონში ეუთოს მიერ გაგზავნილი მცირერიცხოვანი უიარაღო დამკვირვებლები.

ჟურნალისტები გაემგზავრნენ იქ ცალ-ცალკე და სხვადასხვა მარშრუტებით, ისინი ესაუბრნენ სხვადასხვა ადამიანებს. მაგრამ მათი დასკვნები ერთმანეთს ემთხვევა: ეს საქართველომ მოაწყო უწესრიგო სამხედრო თავდასხმა სამხრეთ ოსეთის დედაქალაქ ცხინვალზე. ცეცხლი სხვა შენობებთან ერთად გაუხსნეს ჰოსპიტალსაც: მისი ექიმები დაიჭრნენ ოპერაციის დროსაც კი. საქართველოს თავდასხმის დრო, აგრეთვე პირველი რუსული ჯარების მოსვლა ორი დღის შემდეგ – ყველაფერი ეს უმეტესშემთხვევაში ემთხვევა რუსეთის თავდაპირველ ვერსიას. მხოლოდ ამის შემდეგ შეიჭრნენ რუსები სუვერენული საქართველოს ტერიტორიაზე, რითაც გამოიწვიეს საყოველთაო გაკილვა. მთლიანი ინფორმაციისთვის უნდა დავუმატოთ, რომ რუსეთმა გამოიყვანა თავისი ჯარები საქართველოს ტერიტორიის უდავო ადგილებიდან შეთანხმების პირობების შესაბამისად, რომელიც დაიდო პრეზიდენტ სარკოზის შუამავლობით.

ვინ დაიწყო ეს ომი? პროვოკაციები უკვე დიდი ხნით ადრე ხორციელდებოდა ორივე მხრიდან და მთავარი ამოცანა იყო საბრძოლო მოქმედებათა შეწყვეტა. თქვენ აგრეთვე შეგიძლიათ განაცხადოთ – დიდი რწმუნებით – რომ, თუმცა რუსეთის მოქმედება თავიდანვე ერთგვარად იყო დასაბუთებული, შედეგად იგი არ აღმოჩნდა მართალი, როდესაც გამოიყენა უთანასწორო ძალები და შემდეგ აღიარა სამხრეთ ოსეთი და აფხაზეთი დამოუკიდებელ სახელმწიფოებად. მაგრამ ყოველივე ამას არა აქვს მნიშვნელობა, ვინაიდან მეტად მნიშვნელოვანია ვიცოდეთ, როგორ დაიწყო კონფლიქტი. ამას აქვს მნიშვნელობა სამართლებრივი და ზნეობრივი თვალსაზრისით. ეს გავლენას მოახდენს იმაზეც, რომ ჩვენ მომავალში შევაფასოთ მეომარი ქვეყნები. მაგრამ ამერიკის შეერთებული შტატებისა და დიდი ბრიტანეთის ოფიციალური ცნობების ზოგადი გაფანტულობა და გაურკვევლობა ქმნის შთაბეჭდილებას, რომ ყველაფერში დამნაშავეა რუსეთი, ხოლო საქართველო – ესაა პატარა, მაგრამ მამაცი დემოკრატია, რომელსაც დიდმა და ცუდმა რუსეთმა მოუნდომა მოშთობა. ასეთმა ვერსიამ პრაქტიკულად უმალვე მიიღო საყოველთაო აღიარება. მოსკოვმა კი თითქმის ვერ შეძლო მისი უარყოფა, ვინაიდან ამ ვერსიას ადასტურებდა ყველა არსებული ნეგატიური სტერეოტიპი.

მაგრამ დღეს ირკვევა, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებსა და დიდ ბრიტანეთს არ შეუძლიათ თავი იმართლონ ომის დაწყების ვითარების უცოდინარობით. ეუთოს მეთვალყურეებმა ყოველივე ამის შესახებ ინფორმაცია გაავრცელეს თავიდანვე, ხოლო ამ მეთვალყურეთა შორის იყო ორი მეტად გამოცდილი ყოფილი ოფიცერი ბრიტანეთის არმიიდან.

მაშ, რატომ არიან ბრიტანელი და ამერიკელი ოფიციალური პირები ასე მდუმარენი და არაპირდაპირები, რატომ არ უნდათ აღიარონ მათ და დაიჯერონ კიდეც ის, თუ რა მოხდა სინამდვილეში? რატომ მოხდა, რომ კონსერვატორების ლიდერი დევიდ კამერონი თავქუდმოგლეჯილი გავარდა თბილისისკენ, რათა გამოეხატა მხარდაჭერა საქართველოსთვის, როგორც უტყუარი მსხვერპლისთვის? რატომ მოხდა, რომ საგარეო საქმეთა მინისტრმა დევიდ მილიბენდმა უმალვე ომის დამთავრებისთანავე კიევში წარმოთქვა სიტყვა, რითაც გააძლიერა შთაბეჭდილება, რომ ომი დაიწყო მოსკოვის სავარაუდო სწრაფვამ თავისი იმპერიის აღდგენისთვის?

ეს რა, უცოდინარობაა? თუ იდეოლოგიური სიბეცე? იქნებ მათ გადაწყვიტეს არ აღიარონ თავიანთი ქართველი პროტეჟეს არასაიმედოობა, რათა არ მოახდინონ დემოკრატიის გავრცელების მთელი ამ პროექტის დისკრედიტაცია და მოკავშირეების დაჯავშნა ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებში? მხოლოდ ამჟამად, ომიდან სამი თვის შემდეგ მილიბენდმა და ამერიკელმა ხელმძღვანელებმა აიძულეს თავიანთი თავი საქართველოს მოქმედებისთვის ეწოდებინათ „წინდაუხედაობა".

მაგრამ პრაქტიკული მოქმედებანი სხვა რამეზე მეტყველებენ. ამ კვირის დასაწყისში ბრიტანეთმა წყნარად მოხსნა თავისი უარყოფითი წინადადება ევროკავშირსა და რუსეთს შორის მოლაპარაკებათა დაწყების წინაალმდეგ. იგი ხომ პრაქტიკულად ცალკე ამუხრუჭებდა ამ მოლაპარაკებას საქართველოსთან სოლიდარობის ნიშნით. როგორც ეტყობა, ოფიციალური ფრუტუნის უკანასკნელი შემოტევა რუსეთის მისამართით წყდება. მაგრამ მოსკოვში ულიარებლობა და ცუდი მოგონებების გრძნობები დარჩება, სანამ ვინმე ლონდონსა და ვაშინგტონში არ აღიარებს, თუ რამდენად არასწორად შეაფასეს მათ ომი რუსეთსა და საქართველოს შორის.

**მერი დეჟევსკი.**

THE INDEPENDENT

# საქართველოში სამშვიდობო მოლაპარაკების პირობების სხვადასხვაგვარი ინტერპრეტაციები

**საკითხი იმის შესახებ, ნამდვილად შეასრულა თუ არა რუსეთმა თავისი ვალდებულებანი ცეცხლის შეწყვეტის შესახებ საქართველოში – ევროპელთა სხვადასხვა აზრის მთავარი მიზეზია მოსკოვთან დიალოგთან დაკავშირებით.**

საფრანგეთი, გერმანია და იტალია მიიჩნევენ, რომ რუსეთმა ვალდებულებანი შეასრულა: გამოიყვანა ეგრეთ წოდებული უშიშროების ზონიდან თავისი ჯარები და ისინი განათავსა სეპარატისტულ ანკლავებში.

ცენტრალური ევროპის, ბალტიისპირეთის, დიდი ბრიტანეთისა და შვედეთის აზრით, ეს საკმარისი არ არის, რათა „ეპატიოს" მოსკოვს. მათ მიაჩნიათ, რომ მოსკოვმა შეასრულა მხოლოდ 8 სექტემბრის შეთანხმება „ბუფერული ზონებიდან" ჯარების გამოყვანის შესახებ. ჯარების „ჭეშმარიტ" გამოყვანად, მათი აზრით, შეიძლება ჩაითვალოს მათი გაყვანა იმ პოზიციებზე, რომლებიც წინ უსწრებდა კონფლიქტის დაწყებას, როგორც ამის შესახებ აღნიშნულია 12 აგვისტოს შეთანხმებაში, წერს გამოცემა. თუმცა ეს ჯერჯერობით არ მომხდარა.

ამას გარდა, აღნიშნავს კორესპონდენტი ნატალი ნუგაირედი, ბალტიისპირეთისა და ცენტრალური ევროპის ქვეყნების ხელმძღვანელები მიიჩნევენ, რომ რუსეთის კონტინგენტი სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთში უნდა შემცირდეს იმ დონემდე, რომელიც იყო კონფლიქტის დაწყებამდე, რაც არ მოითხოვა ევროკავშირში თავმჯდომარედ მყოფმა საფრანგეთმა ხელშეკრულების დადების დროს. კიდევ ერთი საჯილდაო ქვა – მოსკოვის უარი დაუშვას ევროკავშირისა და ეუთოს მეთვალყურეები სეპარატისტული რესპუბლიკების ტერიტორიაზე. გაზეთს მოჰყავს ცენტრალური ევროპის ერთ-ერთი ქვეყნის მინისტრის სიტყვები: „ელისეის სასახლემ ბრწყინვალედ წარმოგვიჩინა თავისი მოქმედება, განსაკუთრებით მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს, მაგრამ გადაუჭრელი საკითხები გადააბარა ჟენევის პროცესს, რომელიც გაგრძელდება უსასრულობამდე, რამაც შეიძლება მოადუნოს ევროპელთა სიფხიზლე".

Le Monde.fr



# დასავლეთმა „საქართველოში ომის შესახებ სიმართლის უგულებელყოფა აირჩია"

### „მოკავშირეთა გამდმობირება"

მოსკოვთან დაკავშირებით მკაცრი პოზიცია უკავია გაზეთ „ტაიმსს" სარედაქციო სტატიაში: „რუსეთმა მაინც უნდა აგოს პასუხი საქართველოსთან დაკავშირებით".

გაზეთი უყენებს რუსეთს სხვა პრეტენზიებსაც: „იგი ავლენს ეკლიან ნაციონალიზმს, უბიძგებს მთელ მსოფლიოს ანტიამერიკანიზმისკენ, ავლენს ჯიუტ პოზიციას კოსოვოსთან დაკავშირებით და მან დაბლოკა გაეროს რეზოლუცია ირანთან და ზიმბაბვესთან დაკავშირებით. ბარაკ ობამას არჩევის დღეს რუსეთმა გადაწყვიტა არ მიელოცა მისთვის, გამოსულიყო, პირიქით, დაშინებით, რომ განათავსებდა რაკეტებს კალინინგრადში აღმოსავლეთ ევროპაში ამერიკის რაკეტსაწინააღმდეგ თავდაცვის საშუალებების განთავსების გეგმის პასუხად".

მაგრამ ამავე დროს „სწორი პასუხი – ისევე, როგორც იმ დროს, როდესაც საბჭოთა კავშირი აქტიურად ანგრევდა დასავლეთის ინტერესებს – დიპლომატიაა. იგი უნდა იყოს მრავალმხრივი. მოლაპარაკება შეიარაღების თაობაზე არ შეჩერებულა ავღანეთის გამო. ასევე არ უნდა იქნეს დასავლეთის მიზნები დავიწყებული, მათ შორის, ადამიანური კონტაქტებიც საქართველოს გამო", – წერს „ტაიმსი".

### „დადებითი გამოცდილება"

„ჯორჯიანის" ავტორიტეტული კომენტატორი ჯონატან სტილი აღნიშნავს „საქართველოს ომის ერთი დამატებითი დადებითი შედეგის შესახებ: მან დაუდო საფუძველი საჯარო დებატებს ნატოს გაფართოების გონივრულობის შესახებ და ევროპას, რუსეთსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის ურთიერთობათა პერსპექტივების შესახებ".

ავტორი მიესალმება გერმანიისა და საფრანგეთის პოზიციას, რომლებმაც ჯერ კიდევ აპრილში გააკეთეს „ისტორიული განცხადება", როდესაც საჯაროდ ეჭვქვეშ დააყენეს ამერიკის შეერთებული შტატების პოზიცია ნატოში საქართველოს და უკრაინის მიღებასთან დაკავშირებით. „ახლა დებატებს ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკასთან დაკავშირებით რუსეთთან ურთიერთობაში უნდა მოჰყვეს შემდეგი ნაბიჯები".

უახლოესი შესაძლებლობა ასეთი განხილვისთვის დაგეგმილია პარასკევისთვის ევროკავშირ-რუსეთის სამიტზე. ავტორი მიიჩნევს, რომ დეკემბერში დანიშნულ ევროკავშირის ლიდერებთან შეხვედრაზე შეტანილი იქნება კორექტივები ევროპის უშიშროების სტრატეგიაში და შეისწავლიან პრეზიდენტ მედვედევის მიერ გამოთქმულ იდეას უსაფრთხოების შესახებ ახალი ევროპულ ხელშეკრულებასთან დაკავშირებით.

გაზეთი მიუთითებს, რომ „პუტინისა და მედვედევის დროს საშინაო პოლიტიკამ მოახდინა შემობრუნება ავტორიტარიზმისკენ. თუმცა იგი უფრო დემოკრატიულია, ვიდრე ჩინეთში, რომელთანაც დასავლეთს კარგი ურთიერთობა აქვს. საბჭოთა კავშირის დაშლიდან 17 წლის შემდეგ ევროპამ და რუსეთმა უნდა აღიარონ, რომ ერთმანეთი სჭირდებათ: მათთვის საერთო ინტერესები უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე მათი გათიშვა".

გაზეთი მოუწოდებს ნატოს, გამოიყენოს დეკემბრის სამიტი იმისთვის, რომ დაიწყოს რუსეთთან ურთიერთობის გადასინჯვა, ხოლო საქართველოს და უკრაინის ალიანსში გაწევრების საკითხი გადადოს მანამდე, ვიდრე ეს პროცესი არ იქნება დამთავრებული.

*(ბრიტანული პრესის მასალების მიხედვით)*

BBC RUSSIAN.com

**სავალუტო პოლიტიკა**

# ლარი „კროლით“ მიცურავს, ხელისუფლება – „მხარულით“

**ისეთ არასტაბილურ, თანაც ნაომარ ქვეყანაში, როგორიც საქართველოა, ეროვნული ვალუტა დღეს თუ ხვალ ცურვას რომ დაიწყებდა, ეჭვი აღარავის ეპარებოდა, მაგრამ მყისიერად „კროლზე“ თუ გადავიდოდა, ამის თქმას ბევრი ეკონომიკის ექსპერტიც კი ვერ რისკავდა. თუმცა, რატომ უნდა ეჭოჭმანათ პროგნოზისტებს, ჩემთვის და ბევრი სხვისთვისაც, ცოტა არ იყოს, გაუგებარია. განა ისეთ გაბედულ და რისკიან ხელისუფლებას, რომელსაც რუსეთთან ომისაც კი არ ეშინია, ლარის ერთი ხელის მოსმით უფასურობის ორმოში მოქნევა გაუჭირდებოდა?**

აკი არც გაუჭირდა. ლარის გაუფასურებამ, რომელიც გასული კვირის პარასკევს დაიწყო, ზებგერითი თვითმფრინავის სისწრაფით იარა და მომდევნო დღეებში სენსაციურ ზღვარს მიაღწია. თუ ჯერ კიდევ პარასკევს ერთი დოლარი 1,49, ხოლო ევრო 1,91 ლარზე იცვლებოდა, ორშაბათს უკვე ერთი დოლარი 1,65, ხოლო ევრო 2,1 ნიშნულზე ავიდა. ამას დაემატა საბანკო ბირჟა (ვალუტის ყიდვა-გაყიდვას შორის 10-ლარიანი სხვაობა), რამაც საზოგადოებაში შიშისა და პანიკის შეგრძნება ხანძარმოდებული ტყესავით გაალვივა.

ხალხი, როგორც იტყვიან, ელამელას ეცა, აღარ იცოდა რა ექნა – ფული, რომელიც ომით შეშინებულმა ბანკებიდან გამოიტანა, უძრავ ქონებაში დაებანდებინა თუ ბანკებშივე დაებრუნებინა, მოვალეს აღებული სესხი სასწრაფოდ უნდა გაესტუმრებინა თუ ხელსაყრელ მომენტს დალოდებოდა? არც ერთის გარანტიას იძლეოდა ვინმე, არც მეორისას და არც უამრავი სხვა მსგავსი შემთხვევისას. მხოლოდ წაგება და ზარალი – აი, ერთადერთი გარანტია, რაც ხელისუფლებამ ვალუტის კურსის უცაბედი ნახტომით საკუთარ ხალხს ხელში შეატოვა.




რა თქმა უნდა, მხოლოდ წაგება და ზარალი, სხვა რა სიკეთეს უნდა ელოდებოდეს ხალხი საკუთარი მთავრობისგან? ეს ხალხი, მაშინაც კი ზარალდებოდა, როცა ხელისუფლება ბოლო წლების მანძილზე ლარის გამყარებით იყო გართული და ახლა, როცა ეროვნულმა ვალუტამ იმავე ხელისუფლების წყალობით დევალვაციის მორევში ამოყო თავი, მოგების იმედად როგორღა იქნებოდა? მოხდა ის, რაც უნდა მომხდარიყო – სოციალურად ისედაც უმწეო მდგომარეობაში მყოფ მოსახლეობას ლარის მოულოდნელმა ვარდნამ ის უკანასკნელი გროშებიც წაართვა, რაც შავი დღისთვის ჰქონდა გადანახული.

დიახ, ხალხს წაართვა, მაგრამ ვის მიართვა? რა თქმა უნდა, იმას, ვინც ადრე ლარის კურსის გამყარებით ივსებდა ჯიბეს, ახლა კი იმავე ლარის გაუფასურებით არმად დაგროვილი მილიონების გაათმაგება მოისურვა. ბუნებაში, როგორც იტყვიან, არაფერი იკარგება, ერთნი რომ კარგავენ, მეორენი პოულობენ. ჰოდა რა გასაკვირია, თუ ამჯერადაც იმათ, ვინც ლარის კურსის კატასტროფული ვარდნა განიზრახა და ამის მოსალოდნელი შედეგიც წინასწარ გაისიგრძეგანა, ახლა მილიონებს გამოკრეს ხელი?

ხელისუფლება, რაღა თქმა უნდა, მსგავს ალტერნატივაზე საუბრისგან თავს იკავებს და ცდილობს, ლარის გაუფასურება „ობიექტური კანონზომიერებით“ ახსნას. ბოლო პერიოდში ლარი დოლართან მიმართებაში ხელოვნურად მყარდებოდა, განმარტავს ის ეროვნული ბანკის პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებლის პირით, ამიტომ იძულებული გავხდით, მისი კურსი არსებულ ვითარებასთან შეგვეწონასწორებინაო. თანაც გვარწმუნებს, წონასწორობის ასეთ დონეზე აღდგენა მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს ქვეყნის კონკურენტუნარიანობის ამაღლებას, მისი ეკონომიკისა და ექსპორტის მოცულობის ზრდასო.

დღეისათვის კურსმა წონასწორობის წერტილს მიაღწია, გვამშვიდებს დავით ამაღლობელი, და იგი კორექტირებას აღარ საჭიროებს. მომავალში სავალუტო ბირჟაზე განხორციელდება ინტერვენციები და შენარჩუნდება კურსის სტაბილურობა, რისთვისაც ეროვნულ ბანკს საკმარისი რეზერვები გააჩნიაო. ამასთან, ბანკის თავკაცი იმის გარანტიასაც გვაძლევს, რომ „ეს ცვლილება ინფლაციაზე მნიშვნელოვან უარყოფით გავლენას არ მოახდენს, რადგან ფასების ზრდის ეკონომიკური საფუძველი არ არსებობსო“.

იხ. 11 გვ.

**არის ასეთი აზრიც**



# დიდი შემობრუნება

## არ გვსურს, საქმე გამარტივებულად წარმოვიდგინოთ



**2008 წლის 5 ნოემბერი შესაძლებელია სრულიად განსხვავებულ ეპოქათა წყალგამყოფი აღმოჩნდეს. ამ დღეს გაირკვა, რომ ამერიკელი ხალხის უმრავლესობამ საპრეზიდენტო არჩევნებში ხმა შავკანიან ბარაკ ობამას მისცა. ამავე დღეს, რუსეთის პრეზიდენტი დიმიტრი მედვედევი ფედერალური საკრებულოს წინაშე მოხსენებით წარსდგა...**

ეს ორი მოვლენა შემთხვევით არ გადაკვეთილა. ჩვენი ღრმა რწმენით, პრეზიდენტმა მედვედევმა მოხსენება შეგნებულად დაამთხვია აშშ-ში საპრეზიდენტო არჩევნების დღეს, რადგან აშშ-ის ახალარჩეულ პრეზიდენტს (მიუხედავად იმისა, თუ ვინ გახდებოდა პრეზიდენტი) არჩევის დღესვე უნდა მიეღო ყოველგვარი ორაზროვნებისა და დიპლომატიური მიკიბ-მოკიბვის გარეშე ჩამოყალიბებული აბსოლუტურად ნათელი გზავნილი რუსეთიდან.

ახალარჩეულმა პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ ეს გზავნილი მიიღო: გამოწვევისა და კონფრონტაციის გაგრძელების შემთხვევაში რუსეთი უკან არ დაიხევს!

ხუთ ნოემბრამდე პლანეტა კატასტროფის წინაშე იდგა. აშშ-ის პოლიტიკა, რომელსაც, მისი ჭკუით, მსოფლიო ერთპოლუსიანი მმართველობისკენ მიჰყავდა, იმ ჩიხში იყო შესული, საიდანაც მხოლოდ მსოფლიო ომის პერსპექტივაღა იკვეთებოდა. ყველაფერი იმაზე იყო დამოკიდებული, აღმოაჩნდებოდა თუ არა საიმისო გონიერება და ძალა ამერიკელ ხალხს, რომ უარი ეთქვა იმ პოლიტიკისათვის, რომელსაც აშშ რეიგანის გაპრეზიდენტების შემდეგ დაადგა და რომელიც სრულ კატასტროფას უქადდა მსოფლიოს.

ამერიკელმა ხალხმა ეს შეძლო!

პრეზიდენტ ობამას არჩევით ამერიკელმა ხალხმა ძველ პოლიტიკას რომ უარი უთხრა, ეს უდავოა, ვინაიდან ჯონ მაკქეინი სწორედ ბუშის პოლიტიკის გამგრძელებელი უნდა ყოფილიყო. სწორედ ამიტომ მუშაობდა წინასაარჩევნო პერიოდში ამერიკული სახელმწიფო მანქანა და სახელისუფლო ბერკეტები მაკქეინის სასარგებლოდ, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ამერიკელმა ხალხმა მოახერხა მტკიცე უარი ეთქვა პირველ რიგში, იმ პოლიტიკოსისთვის, რომელიც რუსეთთან კონფრონტაციის გაღრმავებისკენ იყო მიმართული.

ჩვენთვის (ქართველებისთვის) სულ ერთი არ უნდა იყოს, რა მოხდება მსოფლიოში, ვინაიდან ჩვენც მსოფლიოს ნაწილი ვართ, მაგრამ რადგან საქართველოს მოსახლეობის ერთ ნაწილს ასე „ღრმად და მასშტაბურად“ აზროვნება ჯერ კიდევ არ შეუძლია, კვლავ ჩვენი გადასახედიდან ვიკითხოთ: აშშ-ში პრეზიდენტად ობამას არჩევის შემდეგ რა შეიძლება შეიცვალოს საქართველოში? **იმ შემთხვევაში, თუ ბარაკ ობამა გაამართლებს იმედებს, რასაც მის გაპრეზიდენტებას უკავშირებენ და იგი მართლა გაემიჯნება მსოფლიოს დაპყრობის იმ ყოვლად უპერსპექტივო იდეას, რომელსაც აშშ-ის ბოლო ოთხი პრეზიდენტი იყო აყოლილი, მაშინ უნდა ვივარაუდოთ, რომ საქართველოშიც ბევრი რამ საფუძვლიანად შეიცვლება. უპირველეს ყოვლისა, როგორც სრულიად ყავლგასული, შეიცვლება საქართველოს ხელისუფლება, რადგან იმ ვითარებაში, როდესაც აშშ და რუსეთი კონფრონტაციის რეჟიმიდან თანამშრომლობისა და პარტნიორობის რეჟიმზე გადავლენ, რაც ორივე ქვეყანას ძალიან დიდ პერსპექტივას უსახავს, ეს ხელისუფლება ისევე მიუღებელი გახდება ამერიკისთვისაც, როგორი მიუღებელიც დღეს იგი რუსეთისთვისაა.** მთავარი კი ისაა, რომ იგი სრულიად მიუღებელი გახდება საქართველოს მოსახლეობის პოლიტიკურად უმწიფარი და დაბნეული იმ მცირე ნაწილისთვისაც კი, რომელსაც დღემდე პირზე ნატო და მეპ-ი აკერია და „მიშა მაგარიაო“, გაიძახის. საქართველო და უკრაინა ვერასოდეს გახდებიან ნატოს წევრები, ვინაიდან ერთხელ და სამუდამოდ დაესმება წერტილი ნატოს სწრაფვას გაფართოებისკენ და მსოფლიოს (თვით აშშ-საც) საშუალება მიეცემა შედარებით მშვიდად ამოისუნთქოს.

ვიღაცა გვკითხავს (და, სამართლიანადაც), საიდან იცით თქვენ, რა გზას აირჩევს პრეზიდენტი ობამაო. ჩვენ, რა თქმა უნდა, გულთმისნები არ ვართ, მაგრამ მიუკერძოებელი მსოფლიოს პოლიტიკური ანალიზი გვიჩვენებს, რომ ობამა თუ გონიერი პრეზიდენტი გამოდგება, მან ხელი უნდა აიღოს რუსეთთან კონფრონტაციის პოლიტიკაზე. ის ასე უნდა მოიქცეს თუნდაც იმიტომ, რომ რუსეთს „დაუმარცხებელი“ პოზიციები აქვს. აგვისტოს მოვლენებმა საქართველოში საბოლოოდ დაადასტურა, რომ რუსეთი ამ საკითხში უკან არ დაიხევს. ევროპა ენერგეტიკის ალტერნატიულ წყაროს, რუსეთის გვერდის ავლით ვერ მიიღებს. ე.წ. ნაბუკოს პროექტი ამთავითვე განწირულია, ვინაიდან რუსეთმა გასაღები მოძებნა თურქეთისა და სომხეთის შესარიგებლად, აგრეთვე, მთიანი ყარაბაღის პრობლემის, ანუ სომხურ-აზერბაიჯანული დაპირისპირების მოსაგვარებლად.

აშშ რუსეთთან ურთიერთობებში ძველ გზას თუ გააგრძელებს, მაშინ, ჩვენდა სამწუხაროდ, რუსეთი იძულებული გახდება საქართველოს საბოლოო დაშლის ხარჯზე დაახევინოს უკან. ეს ვრცელი თემაა და ამასთან დაკავშირებით ამ წერილში უფრო დეტალური საუბარი არ გამოგვივა. იმედი გვაქვს, რომ პრეზიდენტი ობამა გაცილებით უფრო გონიერი და შორსგამხედვარე პოლიტიკოსი იქნება, ვიდრე მისი წინამორბედი იყო, ან მისი კონკურენტი იქნებოდა. აშშ-ს პრობლემები ისედაც თავზესაყრელად აქვს, ამიტომ, ჩვენდა საბედნიეროდ და საქართველოს დღევანდელი ხელისუფლების სამწუხაროდ, მოვლენები არ წავა იმ მიმართულებით, რომ საქართველო შეიწიროს. ასეთია დღევანდელი გეოპოლიტიკური ვითარების ლოგიკა, საიდანაც ჩვენ ამ მსჯელობაში ამოვდივართ.

**ამ ახალ გეოპოლიტიკურ ვითარებაში საქართველოში ადგილი არა თუ იმ ხელისუფლებისთვის არ დარჩება, რომელიც მსოფლიოზე გაბატონების მოსურნე დანაშაულებრივი პოლიტიკური დაჯგუფების მარიონეტული წარმონაქმნი იყო, არამედ ადგილი არც იმ ე.წ. ოპოზიციისთვის დარჩება, რომელიც იმავე პოლიტიკური დაჯგუფების მიერ იყო აქ დანიშნული.** ამ ე.წ. პოლიტიკოსებს ფეხქვეშ მიწა გამოეცალათ და ჰაერში გამოკიდებული დარჩნენ. ეს ასეც უნდა მომხდარიყო, რადგან მათთვის პოლიტიკა არასოდეს ყოფილა ასპარეზი სამშობლოს საკეთილდღეოდ მოღვაწეობისა, პოლიტიკა მათთვის იყო ასპარეზი პირადი კეთილდღეობის მოპოვებისა... მეტსაც მოგახსენებთ: როგორც საბოლოოდ დისკრედიტირებულნი, არენას დატოვებენ ის უბადრუკი პოლიტოლოგ-ექსპერტებიც, რომლებიც საბოლოოდ გაემიჯნენ ლოგიკურ აზროვნებას, მოვლენათა ობიექტურ შეფასებას და აშშ-ის პოლიტიკის ადვოკატებად გვევლინებოდნენ. ეს ხომ ის პოლიტოლოგ-ექსპერტები არიან, რომლებსაც შეუძლიათ, განაცხადონ, რომ აშშ-ს თურმე უფლება აქვს დედამიწის მეორე ნახევარსფეროში განალაგოს თავისი სარაკეტო დანადგარები, ხოლო რუსეთს უფლება არ ჰქონია საკუთარ ტერიტორიაზე (კალინინგრადში) აშშ-ის ყოვლად უპასუხისმგებლო გადაწყვეტილების საპასუხოდ, თავდაცვის მიზნით, საკუთარი რაკეტები განალაგოს (სწორედ ამის შესახებ იყო საუბარი პრეზიდენტ მედვედევის 5 ნოემბრის მოხსენებაში ფედერალური საკრებულოს წინაშე). როგორ შეიძლება ექსპერტსა და პოლიტოლოგს უწოდებდეს ადამიანი საკუთარ თავს, რომელიც ტელეეკრანიდან, საჯაროდ ოცნებობდა აშშ-ის პრეზიდენტად მაკქეინის მოსვლაზე მხოლოდ იმიტომ, რომ მაკქეინი რეიგან მეორედ (მისი ტერმინია) ესახება და, მისი ამ „გენიალური აღმოჩენის“ შესაბამისად, როგორც „რეიგან პირველმა“ (მისივე ტერმინია) დაანგრია საბჭოთა კავშირი, თურმე ისევე დაანგრევდა რუსეთს ეს „რეიგან მეორე“. მთავარი კი ისაა, რომ, ამ „სოლომონ ბრძენის“ ჭკუით, ეს თურმე კარგი და, მისასალმებელი მოვლენა იქნებოდა. მკითხველს, ალბათ, დაინტერესებს, ვინ არის ეს პოლიტოლოგი. რა მნიშვნელობა აქვს? ილიას თქმისა არ იყოს, ის დანარჩენ ათასსა ჰგავს და დანარჩენი ათასი კიდევ – ამას!

იმედი გვაქვს, რომ 2008 წლის 5 ნოემბერს მსოფლიოში ახალ პოლიტიკურ ტენდენციას ჩაეყარა საფუძველი, რაც გარკვეულ გარანტიას გვაძლევს, რომ ქართულ პოლიტიკურ გზაარეულობას, რაც ოცი წელია ანგრევს საქართველოს, წერტილი დაესმება. ეს ჩვენი პოლიტიკური „ლომგულები“, რომლებიც რუსეთთან ბრძოლის სახელით ოცი წელია წარმატებით ებრძვიან საქართველოს, ახლა კი პუშკინსა და ლერმონტოვს უტევენ. ჭეშმარიტად სანაქებო იქნებოდა ასეთი „თავდადება“ სამშობლოსთვის, აშკარა და დაუფარავი ფაშიზმი რომ არ იდგეს მის უკან.

ვიმედოვნებთ საქართველოში მოვა ის ძალა, რომელსაც საქართველოს პოლიტიკური ფუნქციაც სწორად ესმის და ისტორიული მისიაც...

არ გვსურს, საქმე გამარტივებულად წარმოვადგინოთ...

არ არის გამორიცხული, რომ კიდევ ერთხელ მოგვიწიოს სისხლის გაღება...

ვნახოთ, რა მოხდება და როგორ მოხდება, მაგრამ მთავარი, ვფიქრობთ, უკვე მოხდა: მსოფლიოს პოლიტიკურ პროცესებში დიდი შემობრუნების ეპოქა დაიწყო. სამწუხაროდ, ქართული პოლიტიკური სპექტრი ამ შემობრუნებისთვის მზად არ არის. საბედნიეროდ, საზოგადოების დიდი ნაწილი გაცილებით უფრო მომზადებულია საამისოდ, რაც უკანასკნელი პერიოდის მოვლენებმაც დაადასტურა. ხოლო იქ, სადაც არსებობს საზოგადოების დიდი ნაწილის პოლიტიკური მზაობა, პოლიტიკურად წარმმართველი ძალა აუცილებლად გამოჩნდება!

**ვალერი კვარაცხელია,**
**გიორგი ბიჭაშვილი.**

კალათბურთი

# ჭირიც თუ მარგებელია

**გუნდის ლიდერის – ტრავმირებული ჯოშ სმიტის არყოფნამ სასიკეთოდ იმოქმედა ზაზა ფაჩულიას კლუბის „ატლანტა ჰოუქსის“ საბრძოლო სულზე – ჯორჯიელებმა არნახულად წარმატებული სტარტი აიღეს ნბა-ს ახალი სეზონის რეგულარულ ჩემპიონატში.**

ზედიზედ მეექვსე გამარჯვება „ქორებმა“ ჩიკაგოში მოიპოვეს, სადაც 113:108 დაკორტნეს „ბულზი“. აღსანიშნავია, რომ ჩვენმა თანამემამულემ თამაში სასტარტო ხუთეულში დაიწყო და 21000-იანი აუდიტორიის მხურვალე ქომაგობით გამხნევებულ მასპინძელთა წინააღმდეგ სარბიელზე 25 წუთი დაჰყო. 12 ქულა, 8 მოხსნა და 3 შედეგიანი გადაცემა – ასეთია „ჯვაროსანთა“ კაპიტნის ილინოისური მონაგარი. დავძენთ, რომ მის პარტნიორთაგან „ხარებს“ ყველაზე მეტი პრობლემა უშუალო კონკურენტმა ალ ჰორფორდმა შეუქმნა – 27 ქულა, 17 მოხსნა, 6 დაფარება და 3 შედეგიანი გადაცემა 41 წუთში.



როგორც ყველაფერ ამქვეყნიურს, გუშინ ატლანტელთა ძლევამოსილ სვლასაც დაესვა წერტილი. მათი ცოდვა „ბოსტონ სელტიქსმა“ დაიდო – 103:102. შეგახსენებთ, რომ ნბა-ს გასული ჩემპიონატის „პლეი-ოფში“ ფაჩულიას კლუბი სწორედ დასახელებულ მეტოქესთან დამარცხდა.

* * *

საქართველოს ეროვნული ნაკრების 19 წლის ცენტრალური თავდამსხმელის გიორგი შერმადინის კარიერაში ამ დღეებში საეტაპო მოვლენა მოხდა – ჯამლეტ ხუხაშვილის მიერ თბილისის „მაქაბიში“ დაფრთიანებულმა ჭაბუკმა 4-წლიანი კონტრაქტი გააფორმა ევროპული საკლუბო კალათბურთის ერთ-ერთ გრანდთან – ათენის „პანათინაიკოსთან“. დაგვეთანხმებით, მრავლისმეტყველია ელადელთა სერბი თავკაცის ჟელკო ობრადოვიჩის შემდეგი კომენტარი:

„შერმადინმა დაგვანახა, რომ ნიჭიერია და შრომა არ ეზარება. იგი ინდივიდუალურად თავდაუზოგავად ვარჯიშობს, რაშიც გუნდის მეორე მწვრთნელი დიმიტრიოს პეგიუდისი ეხმარება. სასიამოვნოა, რომ თვითონ გიორგისაც კარგად ესმის, რამდენად მნიშვნელოვანია დაუღალავი ოფლისღვრა.

– ჩემი მხრივ, შერმადინისთვის ახლო მომავალში შანსის მიცემას ვაპირებ. მხოლოდ მასზე იქნება დამოკიდებული, როგორ გამოიყენებს ყველაფერს.

ერთადერთი პრობლემა ენის ბარიერია. მართალია, თარჯიმნის როლს მისივე თანამემამულე ლევან მიქელაძე ასრულებს, მაგრამ აუცილებელია, უშუალოდ კალათბურთელს ესმოდეს ჩემი. გიორგი ნიჭიერია, ყველაფერს ადვილად ითვისებს და ვიმედოვნებ, ენის პრობლემა მალე აღარ იარსებებს“.



კრივი

# მეცამეტედ – პროფესიულ რინგზე

**ფოთელმა ვლადიმერ ჭანტურიამ 2000 წელს სიდნეის ოლიმპიურ თამაშებზე ბრინჯაოს მედალი მოიპოვა.** მას შემდეგ აქტიურ სპორტს ჩამოშორდა, მაგრამ გულმა ვერ მოუთმინა და კვლავ დაუბრუნდა სარბიელს – ამჯერად პროფესიულ რინგს. უკვე 12 ორთაბრძოლა გამართა და ყველა მოიგო. ხვალ, 15 ნოემბერს, ქართველი სპორტსმენი კიევის სპორტის სასახლეში კიდევ ერთ სარეიტინგო მატჩში უკრაინელ ვლადიმერ ლაზებნიკს დაუპირისპირდება. ჭანტურიას მეტოქემ 13 პაექრობაში მიაღწია წარმატებას.

კიევშივე მსოფლიო კრივის ასოციაციის (WBA) ეგიდით საკონტინენტთაშორისო ქამრის უკრაინელი მფლობელი ვიაჩესლავ უზელკოვი ტიტულის დაცვას ესპანელ ალეხანდრო ლეკეტუშთან დუელისას შეეცდება.

## ვარგასთან ვერ ივარგა

**ლივერპულში გრძელდება მოკრივეთა ევროპის ჩემპიონატი, თუმცა ჩვენთვის იგი დამთავრდა, რადგან მეოთხედფინალში მოასპარეზე კობა ფხაკაძე (60 კგ) უნგრელ მიკლოშ ვარგასთან დამარცხდა 6:8 და შეჯიბრებას გამოეთიშა. შეგახსენებთ, რომ საქართველოს ნაკრები ბრიტანეთში ორი სპორტსმენით იყო ჩასული – რევაზ ქარელიშვილი (81 კგ) პირველსავე წრეში დანებდა მეტოქეს.**

მხატვრული ტანვარჯიში

# თბილისელთა ზეობა ბათუმში



**თბილისის, რუსთავისა და აჭარის 37 მხატვრული ტანმოვარჯიშე მონაწილეობდა საქართველოს პირველობაში, რომელსაც ბათუმ ის სასპორტო სკოლა მასპინძლობდა.** უფროს ასაკში ყველას მზევინარ სამუკაშვილმა აჯობა. მეორე ადგილზე ციცია მკერვალი გავიდა, მესამე იყო ქეთევან ხატიაშვილი. ახალგაზრდებში საპრიზო ადგილები ასე განაწილდა: 1. ნინო ქურდაძე, 2. ნათია ნაკაიძე, 3. ქეთევან ასიტაშვილი. ექვსივე სპორტსმენი თბილისელია.

საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი გაისად თბილისში გაიმართება. მისი შედეგების მიხედვით დაკომპლექტდება ქვეყნის ნაკრები, რომელიც საერთაშორისო ტურნირზე გამოცდის ძალებს.

რაგბი

# ბორჯღალოსნებს გეზზე მასპინძლობს

**დღეს შოტლანდიის ქალაქ გლაზგოში საქართველოს მორაგბეთა ნაკრებს მასპინძელთა A გუნდი დაუპირისპირდება. ბორჯღალოსნები ედინბურგში 10 ნოემბერს ასეთი შემადგენლობით ჩავიდნენ:** დავით გასვიანი, კარლენ ასეიშვილი, გურამ კავთიძე, ვასილ კაკოვინი, ირაკლი ნატრიაშვილი, დავით დადუნაშვილი, კახა უჩავა, ილია ზედგინიძე, შალვა სუთიაშვილი, სიმონ მაისურაძე, დიმიტრი ბასილაია, რატი ურუშაძე, ბესო უდესიანი, ოთარ ბარკალაია, ირაკლი ჩხიკვაძე, ირაკლი მაჩხანელი, გიორგი შკინინი, სანდრო თოდუა, ლაშა ხმალაძე, დავით კაჭარავა, ლაშა მალაღურაძე, მერაბ კვირიკაშვილი, ირაკლი აბუსერიძე, ბიძინა სამხარაძე.



მეორე შეხვედრას ჩვენი ნაკრები 18 ნოემბერს „ედინბურგთან“ გამართავს.

რეიტინგი

# სულ უკან, უკან?

**ალბათ გახსოვთ, არის ასეთი ცნობილი ქართული სიმღერა, რომელშიც არის სიტყვები „სულ ზევით, ზევით, მაღლა და მაღლა“, როგორც ჩანს, ჩვენი ფეხბურთელებისთვის, თუ მათი მესვეურებისთვის, ეს სიმღერა უკუღმა ჟღერს – „სულ ქვევით ქვევით, უკან და უკან!“**

ეს ერთხელ კიდევ დაამტკიცა მსოფლიო ფეხბურთის შტაბის – ფიფას – ახალმა ყოველთვიურმა რეიტინგმა, რომელმაც გვიჩვენა, რომ ქართულმა ფეხბურთმა ორნაბიჯიანი უკუსვლა გააკეთა და რეიტინგში 99-ე საფეხურზე აღმოჩნდა. 2010 წლის მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირში ჩვენი ჯგუფის მეტოქეებიდან მხოლოდ იტალიას აქვს სახარბიელო მდგომარეობა (ჩვენთვის და არა მსოფლიო ჩემპიონებისთვის) ისინი მესამე ადგილზე არიან.



ღმერთმა ნუ ქნას, ჩვენი ნაკრებისა და საერთოდ, ქართული ფეხბურთის უკან სვლა გაგრძელდეს!

ინტერნეტიდან

## დიდი შედეგები მოკლე წყალზე



**სტოკჰოლმში დასასრულს მიუახლოვდა მსოფლიო თასის გათამაშება „მოკლე წყალზე“ ცურვაში. ფინიშის წინადღეს ორი მსოფლიო რეკორდით აღინიშნა, 25-მეტრიან აუზში 50 მეტრზე ბრასით ცურვაში ყველა დაჯაბნა სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის წარმომადგენელმა ვან დერ ბურგმა.** მისი მაჩვენებელი – 25,94 წამი ახალი მსოფლიო რეკორდია. ძველი რეკორდი, რომელც რამდენიმე დღით ადრე მოსკოვში დაამყარეს, 0,14 წამით გაუმჯობესდა.

მეორე რეკორდი კი ამერიკელ პიტერ მარშალს ეკუთვნის – მან 100 მეტრი გულაღმა 49,94 წამში გაცურა, რითაც დაამხო თავისივე თანამემამულის რაიანუ ლოტხეის ადრინდელი რეკორდი – 49,99).

## რა შეუჩნდათ იტალიელ ფეხბურთელებს?

**რაღაც უცნაური სენი შეეყარათ, მართალია, შედარებით ახალგაზრდა (40-50 წელი), მაგრამ უკვე კარიერა დასრულებულ ფეხბურთელებს. ბოლო წლებში თითქმის ერთნაირ ვითარებაში გარდაიცვალა 40-მდე ყოფილი მოთამაშე, რომლებიც იტალიის ჩემპიონატებში 80-90 -იან წლებში მონაწილეობდნენ.**

ავადმყოფობის სიმპტომები ყველას თითქმის ერთნაირი ჰქონდა – ტვინის კავშირის დარღვევა კუნთ-ძარღვოვან სისტემასთან, რის შემდეგ იწყებოდა ჯერ ნაწილობრივი, ხოლო შემდეგ მთლიანი დამბლა.

მართალია, სუპერვარსკვლავები „შავ სიაში“ არ არიან, მაგრამ ყოველი გარდაცვლილი მაღალი კლასის ფეხბურთელი იყო. მაგალითად, კლუბ „ჯენოას“ ყოფილი კაპიტანი ჯანლუკა სინიორინი – ექვსი წლის წინათ რომ გარდაიცვალა 42 წლისა. უცნობი სენის ბოლო მსხვერპლი კი 44 წლის სტეფანო ბორგონოვოა. „მილანის“ ყოფილი თავდასხმელი. სტეფანო, საბედნიეროდ, ჯერ კიდევ ცოცხალია, თუმცა პარალიზებულია და ვერც ლაპარაკობს.

იტალიაში დაიწყეს გამოძიება. პირველ რიგში ამოტივტივდა აკრძალული იმ პრეპარატების თემა, რომლებსაც ფეხბურთლები იყენებენ. მეორე ვერსია MND შედეგია, რასაც ბურთზე ხშირი თავის დარტყმა იწვევს. მაგრამ თავით ხომ იტალიელებზე ხშირად ინგლისელები თამაშობენ? მესამე ვერსიით კი მთავარი დამნაშავე ფეხბურთის მინდორია, სადაც ბალახის მოყვანისას გასული საუკუნის ბოლოს პესტიციდებს ხმარობდნენ.

– ყოველივე ეს ტრილერის სიუჟეტს გვაგონებსო, – ამბობენ გაოცებული იტალიელები.

## მოკრივე შეიყვარა ... და გაიხადა!



**ამბობენ, სულ მალე მსახიობი ქალი ჯენიფერ ელისონი მოკრივე რობი ტიკლზე გათხოვებას რომ აპირებს, ფოტოკამერების წინ გაშიშვლდა. სულ ცოტა ხნის წინათ „გაზეტა-Ru“ წერდა იმაზე, რომ 25 წლის ქერა ლამაზმანი გაშორდა თავის ადრინდელ თაყვანისმცემელს ტონი რიჩარდსონს, რადგან მას ლონდონის „ჩელსის“ მცველის ჯონ ტერის ყოფილ სატრფოსთან შელმარ უიმბლთან წაასწრო.**

თუმცა ახლა ჯენიფერი უკვე საქორწილოდ ემზადება და აცხადებს, რომ გიჟდება ტიკლის სიყვარულით, თანაც ფოტოგრაფების წინაშე შიშვლდება. ფოტოსურათების ძირითად ნაწილს დეკემბერში გამოაქვეყნებენ.

◉ სავალუტო პოლიტიკა

# ლარი „კროლით“ მიცურავს, ხელისუფლება – „მხარულით“

(მეცხრე გვერდიდან)

ჰა, როგორ მოგწონთ სპეციალისტის დასაბუთება? მგონი შემეშალა, სიტყვა „დასაბუთების“ ნაცვლად ალბათ უპრიანი იქნებოდა, სიტყვა „ტყუილი“ მეხმარა. ამით თავადაც არ მოვიტყუებდი თავს და ხელისუფლებაც, რომელიც ამდენი წელია მხოლოდ ტყუილებით გვკვებავს, თავს უხერხულად აღარ იგრძნობდა. არც ეროვნული ბანკის ყოფილ პრეზიდენტს ნოდარ ჯავახიშვილს დასჭირდებოდა იმის მტკიცება, რომ მსგავს განცხადებებზე კომენტარის გაკეთება მხოლოდ ფსიქიატრებს შეუძლიათ. მისი აზრით, ლარის ასეთი ნახტომისებური ცვლილება სავალუტო კატასტროფის ტოლფასია, იგი მომავალში რომ გამყარდეს კიდეც, ფასები არ დაიწევს და ისევ იგივე დარჩება. ჩვენ ამის მწარე გამოცდილება გვაქვს“.

ძნელია, არ დაეთანხმოთ ნოდარ ჯავახიშვილს. ჯერ კიდევ მაშინ, როცა ლარის კურსი ყოველდღიურად მყარდებოდა, სამომხმარებლო ბაზარზე ფასები დიდი სისწრაფით მიიწევდა მაღლა და ახლა ვინ ან რამ შეაფერხებს? იქნებ სტატისტიკის დეპარტამენტი? რა თქმა უნდა, იმ უწყების იმედად ყოფნა, რომელმაც ეკონომიკის სამინისტროს მეურვეობით, აგვისტოს მოვლენებისა და რუსეთთან გართულებული ურთიერთობების შემდეგ ინფლაციის 7-პროცენტიან ნიშნულამდე შემცირება მოახერხა, ნამდვილად შეიძლება. სტატისტიკის მონაცემები (ანუ ტყუილი ერთია და რეალობა მეორე. ფაქტი ის გახლავთ, რომ საქართველოში მოქმედმა ბევრმა იმპორტიორმა კომპანიამ თბილისის ბანკთაშორის სავალუტო ბირჟაზე ორშაბათს გამართული ვაჭრობის დასრულებიდან სულ რაღაც ორ საათში ფასები 10-15 პროცენტით გაზარდა. ეს ბუნებრივია, იმ ქვეყანაში, რომლის ბაზარზე 80 პროცენტი იმპორტირებულ პროდუქციას უკავია, საქართველოს მთავრობის ხათრით თავს არავინ მოიტყუებს და საკუთარ ჯიბეს არ აზარალებს. თავად მთავრობა კი ტრადიციას არ ღალატობს და ცდილობს საკუთარი ხალხი კვლავაც გააცუცურაკოს.

აი, გუშინაც, ტელეარხ „რუსთავი-2“-ში „ბიზნესკურიერის“ წამყვანმა მორიგი ტყუილი გააპარა – მართალია ლარის გაუფასურებასთან დაკავშირებით ზოგ პროდუქციაზე ფასებმა მოიმატა, მაგრამ „ავერსში“, „სახალხო აფთიაქსა“ და სხვა აფთიაქებში წამლები ჯერაც ძველი ნიხრით იყიდებაო. ვიფიქრე, გაძვირებას დავასწრებ-მეთქი და „სახალხო აფთიაქს“ უთენია მივადექი.

– რას ბრძანებთ ბატონო, ლარის კურსის დაცემისთანავე აფთიაქში მედიკამენტების ფასებმა 9-10 პროცენტით აიწია, – ცივი წყალი გადამასხა თეთრ ხალათში გამოწყობილმა ქერა ქალბატონმა.

ვერ გეტყვით იმ დღისით კიდევ რამდენი მოტყუებული მოქალაქე გამობრუნდა აფთიაქებიდან ხელცარიელი. საერთოდ ხალხი დაიღალა მთავრობის მხრიდან ამ გაუთავებელი ტყუილებითა და სავალუტო ექსპერიმენტებით. ადამიანმა უკვე აღარ იცის, რომელ ვალუტას ენდოს.

**ოთარ ხუციშვილი**

გახსენება

## კობა ქობალია



გავიდა ორმოცი დღე შენი ულვთო სიკვდილიდან, ჩვენო ძვირფასო... უშენოდ განვლილი დღეები გაუსაძლისი და უფერულია ჩვენთვის – შენი უბედური დედ-მამისთვის, შენი ერთადერთი შვილისთვის და ცრემლგაუშრალი მეუღლისთვის, რომელსაც ბედმა არგუნა უშენოდ პატარის აღზრდა. შენი სული უკვე ზეცაშია, წინაპრებთან, შენ რომ ასე ეთაყვანებოდი... ხოლო, ვინც ჯერ კიდევ შევყურებთ ამ ზეცას, ვერ დაგივიწყებთ, დიდხანს გვემახსოვრები და შენი ნათელი სულის საცხონებლად ვილოცებთ...

გვენატრები, ძალიან გვენატრები, ჩვენო ძვირფასო კობა...

დედ-მამა, მეუღლე, შვილი,
დედმამიშვილები... ახლობლები, მეგობრები

უახლოესი მეგობრები დოდო ლორთქიფანიძე, ლალი ალავიძე, ნუნუ რამიშვილი, მანანა გურგენიძე, მანანა კორძაია, ნათელა მაჭავარიანი, ლია ხატისკაცი, ციცი თავხელიძე თანაგრძნობას უცხადებენ მერი ბაქრაძეს დედის
თინა კვიცარიძე-ბაქრაძის
გარდაცვალების გამო.

◉ მიჩუმათება

**„ვარდებით“ მოსულ ხელისუფლებას სხვა მრავალ მავნე ჩვევასთან ერთად, კიდევ ერთი რამ დასჩემდა – ის საერთაშორისო ორგანიზაციების, არასამთავრობოების მიერ ჩვენს ქვეყანასთან დაკავშირებით ხელისუფლებისათვის არასასიამოვნო დასკვნებს, რეკომენდაციებს და ა. შ.** უცხოურიდან ქართულ თარგმანშივე აყალბებს, და ისე აწვდის ფართო საზოგადოებას ანთუ დოკუმენტი იმდენად კრიტიკულია, რომ მისი გაყალბებაც კი შეუძლებელია, საერთოდ მალავს, საიტებშივე ბლოკავს. სამაგიეროდ ძალ-ღონეს არ იშურებს მისთვის მისაღები ინფორმაციების, ანგარიშების, საგაზეთო რეცენზიებისა და პუბლიკაციების ფართო აფიშირებისათვის. მოსახლეობა ნელ-ნელა ეჩვევა „ეკლიანთა“ პატარა ეშმაკობებს. საზოგადოების დიდი ნაწილი ცდილობს მთავრობის ნებადართულ ინფორმაციებში რეალურობა ამოიკითხოს, გარკვეულ ნაწილს კი ყოველი ახალი ინფორმაციისადმი ეჭვი უჩნდება.

ლეიბორისტულმა პარტიამ 4 წლის წინათ შეიტანა სარჩელი სტრასბურგში – ევროპის უფლებათა დაცვის სასამართლოში. პოლიტიკური ორგანიზაცია მოითხოვდა 2003 წლის 2 ნოემბრის არჩევნების შედეგების „ვარდების რევოლუციის“ შემდგომ გაუქმების გადაწყვეტილების გადახედვას. შრომის

## საერთაშორისო ორგანიზაციების დასკვნებს ხელისუფლება ან აყალბებს, ან მალავს

პარტია უკმაყოფილო იყო იმით, რომ რევოლუციის გზით მოსულმა ხელისუფლებამ მხოლოდ პროპორციული გზით ჩატარებული არჩევნების შედეგები გააუქმა, სადაც ნათელაშვილმა და მისმა თანაგუნდელებმა ხმების 12,04 პროცენტი მოიპოვეს. მაშინ, როდესაც ხელუხლებელი დარჩა მაჟორიტარული არჩევნების შედეგები.

ოთხწლიანი განხილვის შემდეგ სტრასბურგის სასამართლომ მიმდინარე წლის 8 ივლისს გამოიტანა გადაწყვეტილება. ლეიბორისტების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტით, სტრასბურგის ადამიანის უფლებების დამცველმა სასამართლომ მათი რამდენიმე მოთხოვნიდან მხოლოდ ერთი, მაგრამ უმთავრესი დააკმაყოფილა: **ევროსასამართლო 2003 წლის 2 ნოემბერს ჩატარებულ არჩევნებს მიიჩნევს კანონიერად, ხოლო შრომის პარტიას „ვარდების რევოლუციის“ მსხვერპლის სტატუსს ანიჭებს. ამასთან ერთად სასამართლო ჩვენს ხელისუფლებას ავალებს მსხვერპლის სტატუს მინიჭებული პარტიისთვის 3 თვის ვადაში 10 ათას 430 ევროს გადახდას. სამთვიანი ვადის გასვლის შემდეგ დასახელებულ თანხას ევროპის ცენტრალური ბანკის მიერ დადგენილი საპროცენტო დანამატიც უნდა დაემატოს.**

პარტიის ლიდერმა შალვა ნათელაშვილმა განაცხადა, რომ სტრასბურგის სასამარლთოს გადაწყვეტილება ყველა ინტერნეტსაიტზე დაიდო, გარდა ქართულისა. ხელისუფლებამ ის უბრალოდ დაბლოკა.

№1 ლეიბორისტი ხელისუფლების მორიგ ბლეფს უწოდებს მისი სატელიტი ტელეარხების მიერ გავრცელებულ ინფორმაციას იმის თაობაზე, თითქოს ლეიბორისტებმა სტრასბურგში სასამართლო წააგეს. თუმცა არ აქვეყნებს ამის დამამტკიცებელ ოფიციალურ საბუთებს, მიღებულს ევროპის სასამართლოდან.

ამჟამად შრომის პარტია ამზადებს სტრასბურგში გასაგზავნ მორიგ სარჩელს, რომელშიც მისი წევრები პოლიტიკური ორგანიზაციისათვის მიყენებული მატერიალური ზარალის ანაზღაურებასაც მოითხოვენ.

**ზაზა ბილიხოძე**

◉ ინფორმაცია

## შეიწყალებენ ნორა კვიციანს

ოპოზიციონერი დეპუტატის ჯონდო ბაღათურიას ინფორმაციით, შესაწყალებელ პოლიტპატიმართა სიაში ემზარ კვიციანის და ნორა კვიციანი აუცილებლად მოხვდება.

ამის თაობაზე „ქართული დასის“ ლიდერმა გუშინდელ პრესკონფერენციაზე განაცხადა. მისივე თქმით, თავდაპირველად ანტიკრიზისული საბჭოს სხდომაზე იყო შეთანხმება, რომ 16-კაციან სიაში აუცილებლად იქნებოდა ნორა კვიციანი, თუმცა მოგვიანებით გაირკვა, რომ სიაში იგი გაუგებრობის გამო ვერ მოხვდა. ბაღათურია განმარტავს, რომ ეს ფაქტი დეპუტატ გია ცაგარეიშვილისგან შეიტყო.

ჯონდო ბაღათურიას ინფორმაციითვე, შეწყალების კომისიას დღეს, 15.00 საათამდე კიდევ გადაეცემა პოლიტპატიმრების სია, რომელშიც ნორა კვიციანი და ჟურნალისტი თამაზ ბაკურიძე აუცილებლად იქნებიან.

ვინ არიან პოლიტპატიმართა 16-კაციან სიაში, ნორა კვიციანის, თამაზ ბაკურიძის, შალვა რამიშვილისა და მაია თოფურიას გარდა, ამის შესახებ ბაღათურია ინფორმაციას არ ფლობს.

ინტერპრესნიუსი

◉ წიგნი

# ერთ ბედქვეშა ვართ, ლაბაავ, მე და შენ...

**რუსეთის იმპერიის ისტორიულ განვითარებაში პოლონეთსა და საქართველოს თავიდანვე ერთნაირი სტრატეგიული ფუნქცია დაეკისრათ: იმპერიის მესვეურნი პოლონეთს განიხილავდნენ როგორც ბალტიისპირეთსა და ევროპაზე ზეწოლის არეალს, ხოლო საქართველოს – ახლო აღმოსავლეთის, კასპიისპირეთის, სპარსეთისა და მისი მეშვეობით კი, ინდოეთისაკენ სწრაფვის თავისი იმპერიული მადის დასაკმაყოფილებლად. ამაზე ხაზგასმით მიუთითებს ივანე ჯავახიშვილი „ქართველი ერის ისტორიის“ XII ტომში...**

ამიტომ იყო, რომ რუსეთის სამხედრო ბაზების კონცენტრაცია საქართველოს სამხრეთზე იყო მიმართული: ბაქოსა და ერევნის სახანოების აღების შემდეგ, ნიკოლოზ I თავისი მამის მსგავსად სერიოზულად ემზადებოდა სპარსეთსა და ინდოეთზე სალაშქროდ. კახეთი და ჰერეთი ამ ლაშქრობის მთავარ პლაცდარმად განიხილებოდა. ყველაფერი ეს მძიმე ტვირთად აწვებოდა აქაურ მოსახლეობას. ამიტომ იყო ასე ხშირი აჯანყებებიც – 1802, 1804, 1812-1813...

1828-1832 წლების შეთქმულების ორგანიზატორებიც ამ ბაზებზე თავდასხმას და მათ განადგურებას ისახავდნენ მთავარ მიზნად.

ეს იყო არა მხოლოდ ქართული და საერთო-კავკასიური, არამედ საერთაშორისო ხასიათის შეთქმულებაც. მასში მონაწილეობდნენ პოლონელები, ფრანგები, ინგლისელები. ამიტომ ვაპირებთ მას მივუძღვნათ საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია – **„1828-1832 წლების შეთქმულება: რუსეთის კავკასიური პოლიტიკა და თანამედროვეობა“.**

ისიც სიმბოლურია, რომ გენერალი პასკევიჩი, იგივე **„გრაფი ერევანსკი“,** არის ქართველების და პოლონელების ყველაზე დიდი ჯალათი: მან დაუდო სათავე ე. წ. **„დიდი კორიდორის შეთქმულებას“,** ანუ, სამხრეთ საქართველოს განქართლების პროცესს, მანვე გაასწორა მიწასთან ვარშავა პოლონეთის 1830-831 წლების აჯანყების დროს...

ასეთმა ერთნაირმა ისტორიულმა ბედმა გაგვხადა მეგობრებად და სტრატეგიულ მოკავშირეებად. პოლონელების ქართული დიასპორა და ქართველების პოლონური დიასპორა აქტიურად მონაწილეობდნენ რუსეთის კოლონიური რეჟიმის წინააღმდეგ ერთობლივ ბრძოლაში. გიორგი მაიაშვილი-ზდანევიჩი, სიკორსკი, ტრიპოლსკი... გიორგი ერისთავი, გრიგორ ფერაძე, შალიკაშვილების მთელი საგვარეულო ამ ბრძოლის თავისებური სიმბოლიკაა...

**დღესაც ყველაზე მეტად პოლონეთი და მისი პრეზიდენტი ამოგვიდგა მხარში რუსეთის აგრესიის წინააღმდეგ ბრძოლაში. ვარშავა და თბილისი გახდნენ ნატოს აღმოსავლეთით გაფართოების და ბალტიის, შავი და კასპიის ზღვების ახალი გეოპოლიტიკური სივრცის დიდი სამომავლო იდეის ინიციატორებიც...**

ყველაფერს ამას და კიდევ სხვა ბევრ საინტერესო მასალას მკითხველი ამოიკითხავს **ამბროსი გრიშიკაშვილის** წიგნიდან – **„ქართველები პოლონეთში“** (გამომცემლობა „ცის ნამი“, 2008 წელი): ავტორი წლების მანძილზე მუშაობს ამ თემაზე, გამოქვეყნებული აქვს ორ ათეულამდე ნაშრომი ამ ორი ქვეყნის წარსულისა და თანამედროვეობის პრობლემებზე.

**ელბერტ ბატიაშვილი**

სს „საქართველოს სახალხო ბანკის“ განცხადება

სს „საქართველოს სახალხო ბანკის“ აქციონერთა რიგგარეშე საერთო კრების საარიცხვო თარიღად განისაზღვრა 2008 წლის 24 ნოემბერი.

სს „საქართველოს სახალხო ბანკის“ სამეთვალყურეო საბჭო.

რეკლამა
„საქართველოს რესპუბლიკაში“
98-65-87; 899 32-85-76.

პოეზიის დღე – შოთაობა

# აღდგენილი დღესასწაული

## ლიტერატურული პრემიების თანხლებით

**ტრადიციული სახალხო დღესასწაული – „პოეზიის დღე – შოთაობა!“ მართლაც და ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული, ყველაზე სახალხო დღესასწაული იყო გასული საუკუნის 60-იანი წლებიდან მოყოლებული 90-იან წლებამდე. მიუხედავად იმისა, რომ მესხეთი მაშინ დახურულ ზონად ითვლებოდა, საქართველოს ყველა კუთხიდან და საზღვარგარეთიდანაც კი პოეზიის თაყვანისმცემელთა განსაკუთრებული რაოდენობა მაინც შემოდიოდა და ყველა ასპინძელი, ყველა მესხი მასპინძლად თვლიდა თავს. შოთაობაზე დასწრება დიდი პატივი იყო. იმ დღეს მთელი მესხეთი პოეზიით ცხოვრობდა.**

...ოთხმოცდაათიანი წლებიდან მოყოლებული თითქმის მივიწყებული იქნა შოთაობა, თუ არ ჩავთვლით 2004 წელს სახელდახელოდ ჩატარებულ ზეიმს, რომელსაც ფართო მასშტაბები არ მიუღია.

ყინული თითქოს გალღვა... „შოთაობა – 2008“ ამჯერად ფართოდ აღინიშნა. განსაკუთრებით ხაზი უნდა გაესვას იმ ფაქტს, რომ მისი მაღალ დონეზე ჩატარება განაპირობა უპირველესად საქართველოს პირველი ლედის – სანდრა ელისაბედ რულოვსის თანადგომამ.

აგერ ახლახან რუსთაველის ნააკვნარზე, სოფელ რუსთავში, პოეზიის ათასობით მოყვარულმა მოიყარა თავი – დედაქალაქიდან, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკიდან, ქვემო და შიდა ქართლიდან, სამცხე-ჯავახეთის რაიონებიდან...

საქართველოს პირველი ლედის **სანდრა-ელისაბედ რულოვსის მიერ დაწესებული სპეციალური პრემია გამარჯვებულ მანანა ჩიტიშვილს გადასცა თავად პირველმა ლედიმ,** ხოლო გამარჯვებულის ლექსები მხატვრულად წაიკითხა პოეტმა **კახა კორძაიამ.** დიდი ინტერესით მოისმინეს ქალბატონ სანდრას მიერ წაკითხული ცნობილი ქართველი პოეტებისა და მთარგმნელების ლექსები.





**პირველი ლიტერატურული პრემია – 700 ლარი ასპინძის მუნიციპალიტეტის გამგებელმა კონსტანტინე ბუცხრიკიძემ გადასცა პოეტ მარინე ცხვედიაშვილს, II პრემია – 500 ლარი, რომელიც დაწესებული იყო ახალციხის მუნიციპალიტეტის გამგეობისაგან (გამგებელი დავით ათუნაშვილი)გადაეცა პოეტ ვაჟა ოთარაშვილს, ხოლო III პრემია სს ახალციხის ინსტიტუტმა (რექტორი თინა გელაშვილი)გაანაწილა ორ კონკურსანტზე – ზვიად ბერიძესა და ნონა გიორგაძეზე.**

**ლიტერატურულ თარგმანზე I პრემია – 700 ლარი ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის გამგებელმა ნაირა ირიციანმა გადასცა ზეზვა მეღულაშვილს, ახალქალაქის მუნიციპალიტეტის გამგეობისაგან (გამგებელი სურენ მოსოიანი)დაწესებული II პრემია – 500 ლარი განაწილდა ორ მთარგმნელზე – გივი შახნაზარსა და გურამ გოგიაშვილზე.**

საზეიმო შეხვედრის შემდეგ მოეწყო ხალხური რეწვის ოსტატთა და მხატვართა ნამუშევრების გამოფენა-გაყიდვა, მასობრივი სპორტული ღონისძიებები....

სახალხო დღესასწაულის რეჟისურა განახორციელა **ლია სულუაშვილმა,** მხატვრულად გააფორმა **რევაზ გვირჯიშვილმა.** ღონისძიებას უძღვებოდა მსახიობი **შალვა კელოშვილი.**

**ავთანდილ მესხი**

ინფორმაცია

## ამზადებენ კრიმინალისტებს

**2008 წლის 3 ნოემბრიდან 26 ნოემბრამდე შსს აკადემიაში, გამოძიების ფედერალური ბიუროს სპეციალისტების დახმარებით, კრიმინალისტების მომზადების 3-კვირიანი კურსი ტარდება.**

როგორც შსს-ს პრესსამსახური იუწყება, კურსის მიზანია კრიმინალისტიკის დარგში ინსტრუქტორების მომზადება.

კურს გაივლის თორმეტი მსმენელი, რომლებიც შეირჩნენ თბილისისა და მცხეთა-მთიანეთის საექსპერტო-კრიმინალისტიკური სამსახურიდან, სხვადასხვა რეგიონული დანაყოფებიდან.

მსმენელები გაივლიან მომზადებას შემთხვევის ადგილის დათვალიერებაში, შემთხვევის ადგილის გაფორმება-დოკუმენტირებაში, შემთხვევის ადგილის სკეტჩირებასა და სქემების შედგენაში, ასევე, დაქტილოსკოპის, ტრასოლოგიის, ცეცხლსასროლი იარაღების დათვალიერებისა და მიკროველების ამოღებაში.

## პატიმრებმა შიმშილობა დაიწყეს

**ქუთაისის სასჯელაღსრულების დაწესებულების №2 საპყრობილეში 26-მა პატიმარმა შიმშილობა დაიწყო.**

26-ვე მსჯავრდებული, ვინც პროტესტის ამ ფორმას მიმართა, ხონის კოლონიიდან აგვისტოს მოვლენების დროს გაქცეული პატიმრები არიან, რომლებიც მოგვიანებით სამართალდამცავებმა ხელახლა დააპატიმრეს.

მოშიმშილეები იმ დამამძიმებელი მუხლის წაყენებას აპროტესტებენ, რომელიც მათ ახლახან წარედგინათ.

ყველა დაკავებულს ციხიდან გაქცევის ორგანიზატორის ბრალდებით ასამართლებენ, რაც 7 წლამდე დამატებით სასჯელს ითვალისწინებს.

პატიმართა ახლობლებისა და ოჯახის წევრების განცხადებით, წარმოუდგენელია 26-ვე გაქცევის ორგანიზატორი ყოფილიყო და არავინ თანამონაწილე.

**ინტერპრესნიუსი**

მეგობრობის სიმბოლო

## „ბიბლიობუსი“ ქუთაისის ქუჩებში

**ქუთაისში ფრანგულ-გერმანული „ბიბლიობუსი“ გამოჩნდა.**

ავტობუსი ფრანგულ-გერმანული მეგობრობის სიმბოლოა და საქართველოს რეგიონებში მდებარე ბიბლიოთეკების აღჭურვას ისახავს მიზნად.

დიუმას სახელობის ფრანგული კულტურის ცენტრისა და გოეთეს ინსტიტუტს ერთობლივი „ბიბლიობუსი“ პირველი ტურნეს ფარგლებში ქუთაისს ესტუმრა.

ფრანგული კულტურის ცენტრის ხელმძღვანელი ჟოელ ბასტენერი და გოეთეს ინსტიტუტის ხელმძღვანელი ვერნერ ვიოლი ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებსაც შეხვდნენ, რომელთაც საჩუქრად წიგნები გადასცეს.

ფრანგულ-გერმანული „ბიბლიობუსი“ საქართველოს ყველა დიდ ქალაქში ჩავა.

**ინტერპრესნიუსი**

## ძვირფასო მკითხველო!

ჩვენს გაზეთში თქვენთვის საჭირო განცხადების ან რეკლამის განსათავსებლად შეგიძლიათ ისარგებლოთ იმეილით ან ფაქსით. ინფორმაციის მიღებისთანავე დაგიკავშირდებათ ჩვენი რედაქციის წარმომადგენელი და მოგაწვდით ყველა საჭირო მონაცემს.

იმეილი: sakresp@ayety.ge

ტელეფონი: 98-65-87 (89932.85.76ძ.

ფაქსი: 98-65-87.

კადრი



**რეკლამა** კოსტავას 12

„საქართველოს რესპუბლიკაში“ 98-65-87; 899 32-85-76.

ანეკდოტები

ორი დაქალი ერთმანეთს ტელეფონით ესაუბრება:

– გუშინ ჩემი სასიკვდილე ქმარი კვლავ მთვრალი მოვიდა, – ამბობს ერთი, – მიყვირა, მიღრიალა, ბავშვები მიბერტყა და ბოზებში წავიდა. შენთან ხომ არ მოსულა?



* * *

– ქალები მანქანაში ბენზინის ჩასხმის შემდეგ შლანგს რატომ არ ბერტყავენ?

– საიდან უნდა ჰქონდეთ მათ ეს რეფლექსი?

* * *

– თქვენ აშკარად ნიკოტინით ხართ მოწამლული! – ეუბნება ექიმი პაციენტს.

– რას ამბობთ, ექიმო, მე ხომ არ ვეწევი.

– ჰოო? სამწუხაროა, რადგან ეს ერთობ აძნელებს დიაგნოზის დასმას.

* * *

– წარმოგიდგენია, ძვირფასო, – ეუბნება ქმარი ცოლს, – ათი წელი სრულდება, რაც ერთხელაც არ გვიჩხუბია.

– ვიცი, შე საბრალო მშიშარავ, შენა.

* * *

პარიკმახერმა ზედიზედ სამჯერ გაუჭრა ლოყა კლიენტს. სიტუაცია როგორმე რომ განემუხტა, მან კლიენტს საუბარი გაუბა.

– თქვენ ადრეც ხართ ჩვენთან ნამყოფი?

– არა, ხელი ომში დავკარგე...

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
კოსტავას ქ. № 12.

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ (დავით აღმაშენებლის 150. ტ: 899 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნის“ დამფუძნებლები
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
98-65-87; 899 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 899 53-76-16;
რუსლან რუსია 899 17-21-21;
სპარტაკ ძოზულია 899 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 899 74-90- 07

ინდექსი 66434

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.